ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 26 ივლისი, 2022 | №145 (8923) | ფასი: 80 თეთრი

გვ.5

საგამოძიებო მოქმედებები რუსთავის ციხეში – სუს-ის გამომძიებლები სოსო გოგაშვილს დნმ-ის ნიმუშებს უღებენ

პროკურატურამ კიდევ ერთი ყოფილი მსჯავრდებულის მიმართ არსებული გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვის გადაწყვეტილება მიიღო

გვ.5

„ევროკავშირი ითხოვს: ან დასავლეთი, ან ივანიშვილი!“

გვ.2

პაატა ზაქარეიშვილი: „გოგაშვილის ყველა მასალა უკანონოა და სასამართლოში არ გამოდგება, მაგრამ დასავლეთისა და ქართველი ამომრჩევლისთვის, შეიძლება, მტკიცებულებაა“



გვ.2

„გადმოსხმულია ათეულათასიანი დესანტი, რომელიც შიგნიდან ხრავს ქართულ სახელმწიფოებრიობას“

„ამერიკასთან ურთიერთობის გაფუჭება ცეცხლთან თამაშია“

სოსო ცინცაძე: „მესამე გზა არ არსებობს. ან დასავლეთი, ან რუსეთი“

გვ.3

„ოპოზიცია, 10 წელია, ერთსა და იმავე რეჟიმშია“

ამირან სალუქვაძე: „ევროპარლამენტარების განცხადებები რადიკალური ოპოზიციის სასარგებლო არ არის“

გვ.4

ხატია დეკანოიძე: „დავით არახამიას სრულად ვეთანხმები“

გვ.3

გვ.3

ყიდულობს თუ არა დავით ხიდაშელი VTB ბანკს?!

ირაკლი კობახიძე ჟურნალისტს – „კაგებებეშნიკი“ არის მამათქვენი... ქალის სახე დაკარგეთ“

გვ.2

გვ.3

პრემიერ-მინისტრი გაერო-ს გენერალური ასამბლეის 76-ე სესიის პრეზიდენტს შეხვდა

იშლება თუ არა რუსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად?



გვ.4

რუსეთის თავისუფალი ხალხების ფორუმმა მიიღო დეკლარაცია რუსეთის დეკოლონიზაციის შესახებ

1993230720223

3 მიხეილ სააკაშვილის ოჯახი უცხოელი ექსპერტებისთვის ლიცენზიის დროულ აღიარებას ითხოვს

3 ლევან დავითაშვილი: „სრული პასუხისმგებლობით აღვნიშნავ, საქართველო სანქცირებულ ნავთობს არ ყიდულობს“

6 PT-91 ტიპის ტანკები პოლონეთიდან უკვე უკრაინაშია

6 მამაკაცმა მეხუთე სართულიდან გადმოვარდნილი ბავშვი დაიჭირა

„ევროკავშირი ითხოვს: ან დასავლეთი, ან ივანიშვილი!“

პაატა ზაქარეიშვილი: „გოგაშვილის ყველა მასალა უკანონოა და სასამართლოში არ გამოდგება, მაგრამ დასავლეთისა და ქართველი ამომრჩევლისთვის, შეიძლება, მტკიცებულებაა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს კონფლიქტოლოგი, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.

– ბატონო პაატა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პროცესებს? ხელისუფლება ცალკე მუშაობს 12– პუნქტიან გეგმაზე და ოპოზიცია – ცალკე. არადა, ევროკავშირი მოუწოდებს, რომ შეძლონ საერთო ენის გამონახვა და ერთად დასხდომა. ეს არც ერთს არ გამოსდის და შემდეგ იწყება გადაბრალების პროცესი. რა უნდა საერთოდ „ქართულ ოცნებას“, ევროპასა და ამერიკას მტრად აცხადებს?

– აშკარად ჩანს, რომ „ქართულ ოცნებას“ არ უნდა ევროკავშირში გაწევრიანება ახლა მაინც, ანუ „ოცნება“ დარწმუნებული არ არის, რა მოხდება უკრაინის ფრონტზე, ჯერ კიდევ ვერ ხედავს შედეგს. აშკარად ორ სკამზე ზის და უნდა, რომ სიტუაციიდან გამომდინარე, ძალაუფლება შეინარჩუნოს. ესაა დღეს მათი მთავარი ამოცანა. თუ აღმოჩნდება, რომ რუსეთი იძირება, დიდი სიამოვნებით წიხლსაც გააყოლებენ. ხოლო თუ აღმოჩნდება, რომ რუსეთი ძლიერდება, მაშინ ფეხქვეშ გაედებიან. ამიტომ გამალებული მუშაობა, რომ მივიღოთ კანდიდატის სტატუსი, „ქართულ ოცნებას“ არ აწყობდა. პრინციპში, მე მესმის ევროკავშირის, რომ ეს პროცესი ერთი წლით გადაგვივადეს, რადგან დეკემბრამდე ვერაფერი ვერ მოესწრებოდა და ევროკავშირს მოუწევდა მეორედ უარის თქმა. ეს მეორე უარი კი იქნებოდა კატასტროფული. ეს იქნებოდა უკვე საბოლოო უარი.

– ამ ერთ წელიწადში რამდენად იქნება მზაობა ხელისუფლების მხრიდან? თუ, შესაძლოა, არჩევნებმა მოგვისწროს და ეს იყოს გამოსავალი?

– ამ ერთ წელიწადში ან ვირი მოკვდება, ან ვირის პატრონი. უკრაინაშიც რაღაც გაირკვევა და „ქართული ოცნებაც“ ჩამოყალიბდება, ბოლოს და ბოლოს, რა უნდა. ერთსაც გეტყვით, ეს ერთი წელიწადი უფრო ევროკავშირისთვისაა, ვიდრე ჩვენთვის. ევროკავშირი უნდა დააკვირდეს, რამე პროვოკაციას ხომ არ იღებს საქართველოს სახით ევროკავშირში, რამდენად მზადაა რეალურად საქართველო, მართლა იყოს ევროკავშირის წევრი. პირველ რიგში, სწორედ თავის თავს მისცა ეს ერთი წელი. უნგრეთის გამოც მუდმივი პრობლემები აქვთ. ამიტომ ისინი დაფიქრდებიან, უნდათ თუ არა ახალი თავისტკივილი და უღირთ თუ არა საქართველოს მიღება. ამ ერთ წელიწადში თუ არაფერი შეიცვალა, გამოდის, რომ არ გვინდა ევროკავშირი.

– არის იმის შანსი, რომ ერთი წლის თავზე მივიღოთ კანდიდატის სტატუსი?

– არა. ერთი წლის თავზე არ მოგვცემენ სტატუსს. ერთი წლის თავზე მოგვცემენ რეკომენდაციას, გვეტყვიან, ამ გატარებული რეფორმებით ჩაატარეთ არჩევნები, 2024-ში რომ ჩაატარებთ არჩევნებს, აი, მერე დავუბრუნდეთ კანდიდატობის სტატუსსო. თუკი „ოცნება“ ღირსეულად და პატიოსნად გაიმარჯვებს და არანაირი კითხვები არ ექნება ევროკავშირს, სწორედ არჩევნების შედეგების შემდეგ ევროკავშირი საბოლოოდ მიიღებს გადაწყვეტილებას, აძლევს საქართველოს კანდიდატობის სტატუსს თუ არა.

„რაც თავი მახსოვს, ოპოზიცია სულ აანონსებს სერიოზულ რაღაცებს და, საბოლოო ჯამში, გამოდის, რომ სპილომ შვა თაგვი“

– ანუ თქვენი პროგნოზი ასეთია, რომ 2024-მდე არაფერი არ იქნება?

– 2024-მდე იქნება პროცესი, ხოლო დასკვნა და შედეგი იქნება 2024 წლის შემდეგ. არჩევნები ოქტომბერში იქნება და 2025 წლის დასაწყისში გვექნება პასუხი, ვიმსახურებთ თუ არა ევროკავშირს.

– სექტემბრიდან ოპოზიცია სერიოზულ პროცესებს აანონსებს. რა მოლოდინი გაქვთ?

– კარგით, რა, რაც თავი მახსოვს, ოპოზიცია სულ აანონსებს სერიოზულ რაღაცებს და, საბოლოო ჯამში, გამოდის, რომ სპილომ შვა თაგვი. იმას კი არ ვამბობ, რომ რეფორმები და ცვლილებები საჭირო არ არის. ხალხს არ სჯერა მათი. საზოგადოებამ არ იცის, რატომ არ უნდა მისცეს ხმა „ქართულ ოცნებას“. მას ნამდვილად არ უნდა, რომ „ქართულ ოცნებას“ მისცეს ხმა. მათ არ მოსწონთ „ქართული ოცნება“, მაგრამ□შემცვლელს ვერ ხედავენ. თუკი უარს იტყვიან ივანიშვილზე, რომ გაიმარჯვოს სააკაშვილმა, მათ არ უნდათ ეს არჩევანი. ეს ბუნებრივი ქცევაა, როცა არ მოგწონს რაღაცა, შეჩვეულ ჭირს იტოვებ.

– ბატონო პაატა, მოგვცეს ერთწლიანი ვადა, მაგრამ, ამავდროულად, გარკვევითა და ხაზგასმით გვითხრეს, რომ დეოლიგარქიზაცია ნიშნავს დებიძინიზაციას. შეიძლება, არ აქვთ მტკიცებულებები, მაგრამ ყველა თანხმდება იმაზე, რომ დღეს ქვეყანას მართავს ბიძინა ივანიშვილი.

– კი ბატონო, ასეა. რა თქმა უნდა, ეს არის სერიოზული გამოწვევა. აქ უკვე ჯერი ქართველ ხალხზეა, შენ თვლი თუ არა, რომ ივანიშვილის მმართველობა არის ქვეყნისთვის დამაზიანებელი. თუ აღმოჩნდა, რომ არჩევნებში უმრავლესობა ხმას ისევ „ქართულ ოცნებას“ აძლევს, გვეტყვიან, მაშინ, სულ კარგად ბრძანდებოდეთო. აი, ამიტომ სჭირდება ევროკავშირს ეს ერთი წელიწადი. თუ კიდევ ავირჩევთ ამ მმართველობას, გამოვლენ და გვეტყვიან, ღმერთმა შეგარგოთ ივანიშვილიო! არჩევანი გვაქვს, ან ევროკავშირი, ან ივანიშვილი! თუ ქართველი ხალხი, ისევ ივანიშვილის კალთის ქვეშ გადაწყვეტს ყოფნას, ეს გაგრძელდება დიდხანს და ივანიშვილი იქცევა ნაზარბაევად, ანუ სანამ ისე არ დაბერდება, რომ თავისივე ხალხი არ გადმოაგდებს.

– დემოკრატიულად უნდა ჩატარდეს არჩევნები 2024-შიო. გასული კვირის ბოლოს სოსო გოგაშვილის მიერ გადაცემული მასალები გამოაქვეყნა არასამთავრობო ორგანიზაციამ, თუ როგორ გაყალბდა არჩევნები. როგორ ფიქრობთ, ვისი დაკვეთით დაიწყო მუშაობა გოგაშვილმა და „ოცნებისთვის“ რამდენად სახიფათო ინფორმაციები აქვს მას გამოტანილი?

– 90-იანი წლების ომიდან მოყოლებული, მე წავაწყდი ერთ უნიკალურ ფენომენს. ეს პროკურორები, ეს ადამიანები, ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლები, რომლებსაც არ მოსწონთ, რასაც ავალებენ მათ და რომლებსაც ეშინიათ, რომ მათ შეახოცავენ ხელს, როგორც წესი, ჩუმად იპარავენ რაღაც დოკუმენტებს საკუთარი თავის გასამართლებლად და ამ მასალებს საგულდაგულოდ მალავენ. ეს არ არის რაღაც ახალი და გოგაშვილის ნოუჰაუ. მაღალჩინოსანს, პროკურორს, მოსამართლესა და გამომძიებელსაც შეიძლება ჰქონდეთ რაღაც-რაღაცები შენახული. შემდეგ ამით იწყებენ ერთმანეთის დაშანტაჟებას.

– ანუ გოგაშვილმა საკუთარი თავის გადასარჩენად გამოიტანა ეს ინფორმაციები?

– დიახ, გოგაშვილმა საკუთარი თავის გადასარჩენად გამოიტანა და გოგაშვილისნაირები ბევრნი არიან საქართველოში, რომლებსაც რაღაცები შენახული აქვთ თავიანთი სახლის სეიფებში. როგორც კი გოგაშვილმა ქონების გადაფორმება დაიწყო და ვიღაცამ მას კუდზე ფეხი დააჭირა, უცნობის მიერ გამოქვეყნებულ მასალებში გაიჟღერა გოგაშვილის გვარმა და ისიც მიხვდა, რომ წითელი აინთო. მან დაასწრო ხელისუფლებას, მის მიერ გამოტანილი უკანონო მასალების გასაჯაროება დაიწყო. კი, ეს ყველაფერი უკანონოა, მაგრამ კარგია, რომ გამოიტანა. ამ შემთხვევაში, გოგაშვილის უკანონო საქმიანობა ქვეყნისთვის სასარგებლოა. შევახსენებ თქვენს მკითხველს ოდერ კეიდის სახელგანთქმულ საქმეს, რომელიც, საბოლოო ჯამში, ძვირად დაუჯდა პრეზიდენტ ნიქსონს და მოუწია წასვლა, გამოიტანა გოგაშვილისნაირმა ტიპმა.

– ფიქრობთ, რომ გოგაშვილმა შესაძლოა „ოცნებას“ ძირი გამოუთხაროს?

– მსოფლიო უსაფრთხოების ისტორიამ კარგად იცის, როგორ და რატომ ხდება მსგავსი ინფორმაციების გატანა და გავრცელება. გოგაშვილმა თავისი თავი დაიცვა, მოახდინა ყურადღების გადატანა სხვაზე. ასე მოხდა ნაციონალური მოძრაობის დროსაც, როდესაც ბედუკაძემ ციხიდან ადამიანების წამების მასალები გამოიტანა. ბედუკაძეს თავი რომ დაეცვა, ეს გამოაქვეყნა და ნაცმოძრაობას ძალიან ძვირად დაუჯდა. მან წააგო არჩევნები. დაახლოებით ამ ტიპის, მანკიერი აზროვნების ადამიანია გოგაშვილი, მაგრამ თავი გადაირჩინა, რადგან საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია გამოიტანა. ყველა ეს მასალა უკანონოა და სასამართლოში არ გამოდგება, მაგრამ დასავლეთისა და ქართველი ამომრჩევლის თვალში ეს შეიძლება იყოს დამაჯერებელი მტკიცებულება. გოგაშვილმა ამით ისრები მთლიანად ხელისუფლებისკენ გადაიტანა, მიუხედავად იმისა, რომ თავადაც ძალიან ცუდი ტიპია და უკანონოდ მოქმედებდა. დღეს რომ გოგაშვილს ჩამოართვან უკანონოდ გადაფორმებული სახლი, ეს უკვე პოლიტიკური ხასიათის იქნება.

– გოგაშვილი პოლიტპატიმრად მოინათლება?

– თუ ასე გაგრძელდა, ბუნებრივია, ამას პოლიტიკური სარჩული ექნება. ის დააპატიმრეს მასალების გამოქვეყნების შემდეგ, თანაც მას შემდეგ, რაც დაიმუქრა. გოგაშვილმა დაპატიმრებამდე მოასწრო და გაავრცელა ინფორმაციები სხვადასხვა სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებში. თავად გოგაშვილიც ძალიან მანკიერი პერსონაა, მაგრამ ისინი, ვისაც ის ააშკარავებს, კვლავ ხელისუფლებაში არიან და ეს გაცილებით მნიშვნელოვანია. მათ არ აქვთ არანაირი უფლება, გოგაშვილზე ილაპარაკონ, როგორც მანკიერ ადამიანზე, თვითონ უარესები არიან.

– ბატონო პაატა, „ქართული ოცნება“ სერიოზულად დაუპირისპირდა ამერიკის ელჩს. ხელისუფლებასთან დაახლოებული პირები აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ ამერიკის ელჩმა უნდა დატოვოს საქართველო. რამდენად ძვირად შეიძლება დაუჯდეს ეს ყველაფერი „ქართულ ოცნებას“?

– რა თქმა უნდა, ძალიან ძვირად დაუჯდება. ესენი ამერიკის ელჩს კი არ ებრძვიან, ესენი ებრძვიან ამერიკას, ღიად ეუბნებიან, თავი დაგვანებეთო. არ უნდათ არანაირი დემოკრატია, არჩევნები, დამოუკიდებელი სასამართლო. პირდაპირ ამბობენ, შეგვეშვით, ჩვენ ვართ ჩრდილოეთ კორეაო! აბსოლუტურად შეგნებულად და მიზანმიმართულად აკეთებენ ყველაფერს. ამით დასავლეთს ეუბნებიან, მოგვეცით საშუალება, ვაუპატიუროთ საქართველო და ამაში ხელს ნუ გვიშლითო!

„გადმოსხმულია ათეულათასიანი დესანტი, რომელიც შიგნიდან ხრავს ქართულ სახელმწიფოებრიობას“

– ყველა საქართველოში ჩამოსული რუსი, მათ შორის პუტინის პოლიტიკის მოწინააღმდეგეც, რუსეთზე მუშაობს ან პოტენციურად იმუშავებს ნებსით თუ იძულებით, ანუ გადმოსხმულია ათეულათასიანი დესანტი, რომელიც შიგნიდან ხრავს ქართულ სახელმწიფოებრიობას, – ამის შესახებ ექსპერტი გია ხუხაშვილი „ფეისბუქის“ პირად გვერდზე წერს.

მის პოსტს უცვლელად გთავაზობთ:

– რუსეთიდან ჩამოცხოვრებული ურდო ორ ძირითად კატეგორიად იყოფა:

1. სანქცირებული და მათთან აფილირებული კომპანიების თანამშრომლები, რომლებიც დღესაც ე.წ. აუთსორსზე მუშაობენ რუსეთის მხრიდან სანქციების გვერდის ავლის ფინანსური, ლოგისტიკური, აგენტურული სქემების დასალაგებლად და მათი მომსახურებისათვის;

2. რუსეთში არსებულ პრობლემებს გამოქცეული, გაწვევის, ფულის დაკარგვის ან რაიმე სხვა შიშით შეპყრობილი ხალხი.

პირველ კატეგორიასთან დაკავშირებით, ცხადია, რომ ისინი დიდ პრობლემას უქმნიან ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო უსაფრთხოებას.

რაც შეეხება მეორე კატეგორიას, რომელიც თითქოს საფრთხეს არ წარმოადგენს, როგორც მეუბნებიან, მათთან დაკავშირებით კიდევ უფრო უარესად არის საქმე.

დადის ფსბ-ს აგენტურა კაფეებში, ნაქირავებ ბინებში, სასტუმროებში და ამ ხალხს „ავერბოვკებს“ იმ მუქარით, რომ თუ არ დათანხმდებიან თანამშრომლობაზე, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ პრობლემები შეექმნებათ. ეს კატეგორია განსაკუთრებით „გემრიელია“, რადგან პრაქტიკულად უფასოა რუსული სპეცსამსახურებისთვის.

დასკვნა – ყველა საქართველოში ჩამოსული რუსი, მათ შორის პუტინის პოლიტიკის მოწინააღმდეგეც, რუსეთზე მუშაობს ან პოტენციურად იმუშავებს ნებსით თუ იძულებით, ანუ გადმოსხმულია ათეულათასიანი დესანტი, რომელიც შიგნიდან ხრავს ქართულ სახელმწიფოებრიობას, – წერს ხუხაშვილი.

ირაკლი კობახიძე ჟურნალისტს — „კაგებეშნიკი“ არის მამათქვენი... ქალის სახე დაკარგეთ“

– როგორც არახამია არ არის კაცი, ისე შენც არ ხარ ქალი, სახე დაკარგე, – ასე მიმართა „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტს, რომელმაც მას უკრაინის რადის ფრაქცია „ხალხის მსახურის“ ლიდერ დავით არახამიას გუშინდელ ინტერვიუსთან დაკავშირებით დაუსვა კითხვა.

ჟურნალისტმა ირაკლი კობახიძეს კითხვით მიმართა, რომ დავით არახამიამ ინტერვიუში ისიც ახსენა და ჰკითხა, „კაგებეს აგენტის შვილი არ ხართ, ბატონო ირაკლი?“

აღნიშნულ კითხვაზე ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტს უთხრა:

– კაგებეშნიკი არის მამათქვენი, ეს შემიძლია გითხრათ... სირცხვილია, სახე დაკარგეთ... ნუ კანკალებ, სახე დაკარგე.

შენც ხარ დავით არახამია, როგორც არახამია არ არის კაცი, ისე შენც არ ხარ ქალი. სახე დაკარგე, თავი დაკარგე, პოლიტიკა ამად გიღირს? სირცხვილია.... ნაცმოძრაობის გულისთვის სახე დაკარგე. ქალი აღარ ხარ რა... ქალის სახე დაკარგე... რომ ლაპარაკობ, პირი მოიწმინდე... სააკაშვილივით გაქვს პირი, დაემსგავსე ყველაფრით შენს ბელადს. სააკაშვილს ჰგავხარ პირითაც... სამარცხვინო შენ... გულის ამრევია, – მიმართა კობახიძემ „მთავარი არხის“ ჟურნალისტს.

ინფორმაციისთვის, უკრაინის რადის ფრაქცია „ხალხის მსახურის“ თავმჯდომარე დავით არახამიამ „მთავარ არხთან“ ინტერვიუში ირაკლი კობახიძეზე ისაუბრა. არახამიას თქმით, მან არ იცოდა, ვინ იყო ირაკლი კობახიძე, თუმცა შემდეგ, რაც ინფორმაცია მოიძია, აღმოაჩინა, რომ კობახიძის მამა „კაგებეშნიკია“.

ISSN 1987-9385

ახალი თაობა

გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ამერიკასთან ურთიერთობის გაფუჭება ცეცხლთან თამაშია“

სოსო ცინცაძე: „მესამე გზა არ არსებობს. ან დასავლეთი, ან რუსეთი“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, „ოცნებიდან“ გასული „სამეული“ კვლავ წერილით მიმართავს ელჩ დეგნანს, თუმცა ამჯერად ისინი ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის სტრატეგიაზე საუბრობენ და აცხადებენ, რომ საომარი ფრონტის გახსნა ამერიკის სტრატეგიაა. რა შეიძლება იყოს ამ წერილების მიზანი?

– უკვე თამაში გამწვავებაზე დაიწყო და არა პირიქით, ინციდენტის ამოწურვაზე. ეს არ არის ე.წ. სამეულის ნაფიქრი და ნააზრევი. ახლა უმთავრესი საკითხია, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამ ყველაფერს, რა ასახვას ჰპოვებს ეს ქართულ-ამერიკულ ურთიერთობებზე, როგორი იქნება ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის რეაქცია ამ ყველაფერზე.

პირველი წერილის შემდეგ ამერიკამ თავისი ერთგულება საქართველოს კიდევ ერთხელ დაუდასტურა, თქვა, რომ ჩვენ სტრატეგიული პარტნიორები ვართ. ყველანაირი დიპლომატიური ეტიკეტის დაცვით წერილს მოჰყვა გამოხმაურება და შეიძლებოდა, აქ წერტილი დასმულიყო, ინციდენტი ამოწურულად გამოცხადებულიყო, მაგრამ – არა.

ამერიკა არ იკადრებს, რომ დოლარ-დოლარ დაიწყოს იმ დახმარების დათვლა, რომელიც საქართველოსთვის გაუწევია, არც იმ მხარდაჭერას დაგვაყვედრის, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში სწორედ ამერიკისგან გვქონდა უზრუნველყოფილი, მაგრამ, ისე არ იქნება, რომ თითქოს არც არაფერი არ მომხდარა. ამ წერილებს აუცილებლად მოჰყვება ბრჭყალების გამოჩენა. უკვე გაისმა შეფასება სახელმწიფო დეპარტამენტში. ის არ იყო მხოლოდ თავიანთი ელჩის დაცვა. ის პოზიციის დაფიქსირება იყო დიპლომატიურ ენაზე.



– რა შეიძლება მოჰყვეს?

– თუნდაც გრანტების შემცირება. დახმარების შეჩერება ან განახევრება. ეს დახმარება ამერიკელი გადასახადის გადამხდელის ფულია. ქვეყანას ძალიან ძვირად შეიძლება დაუჯდეს ამერიკასთან ურთიერთობის გაფუჭება. ეს ცეცხლთან თამაშია და, ვერ გეტყვით, რატომ, რის ფასად მიდის ამაზე ხელისუფლება.

– იქნებ ამ წერილების მიზანი უფრო შორსმიმავალია, იქნებ მიზანი რუსეთისთვის ერთგულების დამტკიცებაა ასე ღიად, ასე უხეშად?

– თუ მიზანი ეს არის, მაშინ სრულიად საკმარისი იყო, სანქციებს ოფიციალურად რომ არ მივუერთდით. არ არის საჭირო ასეთი გამწვავება. თუ უნდა რუსეთს დანახვა, დაინახავს. კარასინმა თქვა, ეს შეუმჩნეველი არ დარჩებაო, მაგრამ რაიმე შედეგი მოჰყვა ამ პოლიტიკას?! თუნდაც ამ „სამეულს“ ვეკითხები: რუსეთმა ბორდერიზაცია შეაჩერა?! არ იტაცებს ჩვენს ბიჭებს თუ ფრენები აღადგინა ან სავიზო რეჟიმი გაამარტივა?! რა გადაწყვეტილება მიიღო ამ პოლიტიკის საპასუხოდ?! დეოკუპაციაზე ან აღიარების უკან წაღებაზე არ ვსაუბრობ. ელენტარული ნაბიჯი მაინც გადმოდგა საპასუხოდ?! ძალიან მარტივია, დიდი დიპლომატია არ არის საჭირო იმის მისახვედრად, რომ რაღაც ნაბიჯი უნდა გადმოედგა რუსეთს ამ პოლიტიკის საპასუხოდ, მაგრამ არაფერი არ გაუკეთებია. ჩვენ კი ნამდვილ მეგობრებთან წლობით ნაშენებ ურთიერთობებს ერთი ხელის მოსმით ვანგრევთ. ეს სრულიად დაუშვებელი და მიუღებელია.

რა თქმა უნდა, ხელისუფლებას შეუძლია, საგარეო კურსი გადაალაგოს, შეცვალოს, მაგრამ ამაზე ის პასუხს არჩევნებზე მიიღებს ამ ქვეყნის მოქალაქეებისგან, ამომრჩევლისგან, რომლის არჩევანიც დასავლური კურსია.

ნურავინ იფიქრებს, საქართველო ამერიკისთვის იმდენად ძვირფასია, რომ საკუთარ ღირსებას არ დაიცავს და თავის ელჩს გაწირავს. ასე ნამდვილად არ იქნება. ვიმეორებ, ეს ცეცხლთან თამაშია. ეს უკვე შავი ლაქაა ამერიკა-საქართველოს ურთიერთობებში. ურთიერთობები სახელმწიფოებს შორის ასე გამწვავებული საბჭოთა კავშირის დროსაც კი არ ყოფილა. ახლა ვინმე გონიერი უნდა გამოვიდეს ხელისუფლებიდან და თქვას, რომ ეს მიუღებელია, რომ ეს დაუშვებელია და ინციდენტი ამოწურულად გამოაცხადოს, სანამ გვიან არ არის.

რატომ არ ახსოვთ ლუკაშენკოს გაკვეთილი, რომელიც მხოლოდ რუსეთზეა ჩამოკიდებული და რომელმაც მხოლოდ სანქციები მიიღო იმ პოლიტიკისთვის, რომელსაც ატარებს.

ბავშვიც კი მიხვდება, რომ მესამე გზა არ არსებობს. ან დასავლეთი, ან რუსეთი. ამ ქვეყნის მოქალაქეების არჩევანი ყველა გამოკითხვით დასავლური კურსია, დასავლური ვექტორია, რომელსაც ჩვენთვის ალტერნატივა არ გააჩნია. დასავლეთთან ასეთი ხისტი ურთიერთობა არავის არ მოუტანს კარგს, არც ხელისუფლებას და მით უფრო – ქვეყანას. ეს უნდა გააცნობიერონ. მესამე არჩევანი არ არსებობს. თუ პრორუსული ორიენტაციაა გადაწყვეტილი, მაშინ ამაზე პასუხს არჩევნებზე მიიღებენ. ეს არ არის არჩევანი – მომწონს-არ მომწონს.

თუ რუსეთის მხრიდან შეუმჩნეველი რჩება ხელისუფლების ეს პოლიტიკა, მერწმუნეთ, ამერიკის მხრიდან ნამდვილად არ დარჩება. ამაზე პასუხს მივიღებთ და ეს არ იქნება კარგი არც ქვეყნისთვის და არც არავისთვის. ამერიკასთან ურთიერთობის გამწვავებაზე წასვლა დაუშვებელია, ძალიან სახიფათოა. ეს უნდა შეჩერდეს.

ხატია დეკანოიძე: „დავით არახამიას სრულად ვეთანხმები“

– დავით არახამიას სრულად ვეთანხმები. დიახ, იანუკოვიჩები მიდიან და, თუ მშვიდობიანი გადაბარებით არ მიდიან, მას ხალხი რევოლუციის გზით აგდებს! – ეს განცხადება ჟურნალისტებთან ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე ხატია დეკანოიძემ გააკეთა.

სწორედ ამ კონტექსტში დეკანოიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთავარია გვესმოდეს, ვის მხარეს დადგა საქართველოს ხელისუფლება უკრაინაში მიმდინარე ომში და როგორი პოზიცია დაიკავა მან.

დეკანოიძის შეფასებით, სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლება ცივილიზებული სამყაროს გვერდით არ დგას.

– თუკი რამემ საქართველოს, როგორც სანდო პარტნიორის იმიჯი, შელახა, ეს არის საქართველოს ხელისუფლება და მისი დამოკიდებულება უკრაინასთან – როდესაც რუსეთის სამხედრო აგრესიის შემდეგ პარლამენტის რეზოლუციაში არ ჩაიწერა რუსეთის ფედერაციის აგრესია, პრეზიდენტ ზელენსკის არ მიეცა საქართველოს პარლამენტისთვის სიტყვით მიმართვის შესაძლებლობა. მათ შორის იყო ანტიუკრაინული განცხადებები. მთელი ეს პროპაგანდა აგებულია იმაზე, რომ ნებისმიერ ადამიანს, ვინც მხარს უჭერს უკრაინას და სურს, რომ საქართველო საერთაშორისო სანქციების ნაწილი იყოს, სურს ომი. საქართველოს ხელისუფლება, ბიძინა ივანიშვილის დავალებით, წარმოიქმნა როგორც საფრთხე უკრაინის გამარჯვებისთვის. ამიტომ ნებისმიერი განცხადება, რომელსაც უკრაინის ოფიციალური წარმომადგენლები აკეთებენ, ჩვენ უნდა განვიხილოთ იმ კონტექსტში, რას აკეთებს საქართველოს ხელისუფლება მთელი ამ პერიოდის განმავლობაში.

დავით არახამია იმ ქვეყნის წარმომადგენელია, რომელიც რუსეთთან ომში იმყოფება და იცავს ევროპის უსაფრთხოებას, მათ შორის საქართველოს დამოუკიდებლობასა და უსაფრთხოებას. ძალიან მნიშვნელოვანია გვესმოდეს, თუ რა პოზიცია დაიკავა საქართველოს ხელისუფლებამ, – განაცხადა ხატია დეკანოიძემ.

პრემიერ-მინისტრი გაერო-ს გენერალური ასამბლეის 76-ე სესიის პრეზიდენტს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გაერო-ს გენერალური ასამბლეის 76-ე სესიის პრეზიდენტ აბდულა შაჰიდს შეხვდა.

შეხვედრაზე განიხილეს გაერო-ს გენერალური ასამბლეის ფარგლებში საქართველოსა და ორგანიზაციის თანამშრომლობის აქტუალური საკითხები.

ყურადღება გამახვილდა საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში შექმნილ მდგომარეობაზე და გაერო-ს მნიშვნელოვან როლზე კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების პროცესში. პრემიერ-მინისტრმა გენერალური ასამბლეის პრეზიდენტს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მტკიცე მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

შეხვედრაზე ყურადღება დაეთმო მშვიდობისა და უსაფრთხოების, ადამიანის უფლებათა დაცვის, მდგრადი განვითარებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებს.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას ესწრებოდნენ გაერო-ს რეზიდენტ-კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებელი – გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისის წარმომადგენელი საქართველოში ქემლინ ფერლი, გაერო-ს გენერალური ასამბლეის 76-ე სესიის პრეზიდენტის კაბინეტის უფროსის მოადგილე ფერნანდო ანდერს მარანი, სამართლებრივ, საბიუჯეტო და რეფორმის საკითხებზე გუნდის ხელმძღვანელის მოადგილე ინგა ყანჩაველი. საქართველოს მხრიდან შეხვედრას საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიაშვილი და მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი რევაზ ჯაველიძე ესწრებოდნენ.

ლევან დავითაშვილი: „სრული პასუხისმგებლობით აღვნიშნავ, საქართველო სანქცირებულ ნავთობს არ ყიდულობს“

საქართველოს ეკონომიკის მინისტრი ლევან დავითაშვილი ნაციონალური მოძრაობის წევრ ლევან ხაბეიშვილის ინფორმაციას გამოეხმაურა, რომლის თანახმადაც, საქართველოში კონკრეტულ კომპანიებს რუსული ნავთობი შემოაქვთ.

დავითაშვილი ამბობს, რომ საქართველო სანქცირებულ ნავთობს არ ყიდულობს და ქვეყანა სანქციებს მაქსიმალური პასუხისმგებლობით იცავს.

– მინდა, ხაზგასმითა და სრული პასუხისმგებლობით აღვნიშნო, რომ საქართველო სანქცირებულ ნავთობს არ ყიდულობს. საქართველო სანქციებს იცავს მაქსიმალური პასუხისმგებლობით, არცერთი შენიშვნა საქართველოს მიმართ ამ კუთხით არ არსებობს. ამ კომპანიების მიერ შეძენილი ნავთობი არ არის სანქცირებული, ასეთივე ნავთობს ყიდულობს ევროპის ძალიან ბევრი ქვეყანა და საერთაშორისო საზოგადოების ძალიან ბევრი ქვეყანა და მათ შორის, საქართველოშიც გადაწყვეტილებები მიიღება კერძო კომერციული კომპანიების მხრიდან, იმ პრაქტიკის გათვალისწინებით, რომელიც არსებობს.

რაც შეეხება აღსრულების მექანიზმებს, ამ კუთხითაც საქართველოს საბაჟო სტრუქტურებს ჰქონდეთ სტრატეგიულ პარტნიორებთან კონკრეტული მუშაობა. ყველა სახელმწიფო უწყება იყო სტრატეგიული პარტნიორების ექსპერტებთან ერთად ჩართული პროცესში, როცა ხდებოდა სანქციების აღსრულების მექანიზმის განმარტებები და კიდევ ერთხელ გადაწყვეტილებები შეთანხმებულია, შეჯერებულია და გავლილია ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებთან, – თქვა ლევან დავითაშვილმა.

მიხეილ სააკაშვილის ოჯახი უცხოელი ექსპერტებისთვის ლიცენზიის დროულ აღიარებას ითხოვს

საქართველოს მესამე პრეზიდენტს გუშინ კიდევ ახალი კვლევა ჩაუტარეს. გიული ალასანიამ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ოჯახის მთავარი მოთხოვნა მიხეილ სააკაშვილის სამკურნალოდ ქვეყნის გარეთ გადაყვანაა, სადაც შესაძლებელი იქნება მისი სრული განკურნება.

მიხეილ სააკაშვილის დედამ დაადასტურა, რომ ოჯახმა თავად მიმართა ამერიკულ ფირმა „აკერმანს“, რომ გამოაგზავნოს იურისტები და სამედიცინო ექსპერტები. ოჯახი ჯანდაცვის სამინისტროს მიმართავს და სთხოვს, რომ არ დააყოვნონ ლიცენზიების აღიარება, რათა უცხოელი ექსპერტები დროულად ჩაერთონ სამედიცინო ექსპერტიზაში.

– საკმაოდ სუსტად იყო, ძლივს მოძრაობდა, ერჩია, რომ წოლილიყო და დაწოლილი დავტოვე. დღეს გაუკეთეს და ჯერჯერობით არ ვიცი პასუხი. წონაში იკლებს, დრო გადის და გაუმჯობესებას მე ვერ ვხედავ. როგორც გამოირკვა, საჭიროა, აქაური ლიცენზია ჰქონდეთ ექიმებს. ზოგიერთ შემთხვევაში, ეს ხდება 1 საათში, ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება, წლები დასჭირდეს. არ ვიცი, მაგრამ მე ძალიან მეჩქარება, – ამბობს გიული ალასანია.

ცნობისთვის, ფირმა „აკერმანის“ ექსპერტები, სავარაუდოდ, შემდეგ კვირაში ჩამოვლენ. ახლა ისინი ლიცენზიის აღიარებას ელოდებიან, რაც ჯანდაცვის სამინისტროს კომპეტენციაა.

„აანონსებს, რომ მტკიცებულებებს ძალიან მალე გამოაქვეყნებს“ — სოსო გოგაშვილის ადვოკატი

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ყოფილი მაღალჩინოსანი სოსო გოგაშვილი ხელისუფლების მამხილებელი დოკუმენტების გამოქვეყნებას 25 ივლისს არ აპირებს. ამის შესახებ რუსთავის მე-12 დაწესებულების დატოვების შემდეგ მისმა ადვოკატმა ისაუბრა. შეგახსენებთ, თავდაპირველად ითქვა, რომ გოგაშვილი მტკიცებულებებს სწორედ 25 ივლისს გამოაქვეყნებდა.

– ბრალდება ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ იმას, რომ მან დააანონსა იმ სისტემის მხილება, რომელი სისტემის ნაწილიც თვითონ იყო და გრძნობს ამაზე პასუხისმგებლობას. დღეს არაფერი არ იგეგმება ახალი, მაგრამ იგი აანონსებს, რომ უახლოეს პერიოდში ასევე სხვადასხვა საკითხზე ისაუბრებს და შესაბამის მტკიცებულებებსაც გამოაქვეყნებს. ამბობს, რომ ეს მოხდება ძალიან მალე... განგვიცხადეს ამ საქმის გამომძიებლებმა, რომ მათ სურთ, მთლიანად გაასაიდუმლოონ საქმის მასალები. შესაბამისად, ადვოკატებსაც შეგვეზღუდება საუბარი ამ საქმის ირგვლივ დეტალებზე, – ამბობს დიმიტრი ღონღაძე.

ყიდულობს თუ არა დავით ხიდაშელი VTB ბანკს?!

დავით გარეჯას საქმის მთავარმა მოწმემ, ბიზნესმენმა დავით ხიდაშელმა VTB ბანკის შეძენასთან დაკავშირებით პირველი კომენტარი გააკეთა:

– საქართველოში დაგეგმილი მაქვს 47 პროექტი. რამდენი ტყუილიც არ უნდა წერონ ჩემზე, ვინც არ უნდა ეცადოს დეზინფორმაციის გავრცელებას ან ჩემს შეჩერებას, მაინც მივიყვან ბოლომდე ყველა ჩემს პროექტს. მე პოლიტიკაში არ ვიღებდი, არ ვიღებ და არ ვაპირებ რაიმე მონაწილეობას არანაირი სახით. მე ვარ ქართველი და ვცდილობ, დავეხმარო საქართველოს საზღვრების აღდგენა-გასწორებაში.

რაც შეეხება ტყუილებითა და უსაფუძვლო დაბრალებით ჩირქის მოცხების მცდელობებს ჩემ მიმართ, ისეთი დაუცველი დემოკრატია შექმენით თქვენ მანდ, რომ ჩივილსაც აზრი არ აქვს. რასაც უნდა, იძახიან და წერენ, ენას ძვალი არ აქვსო, რომ იტყვიან.

ამ ჩემს პასუხსაც დაამახინჯებენ, მიაბამენ რამეს და ისე გააშუქებენ, ეჭვი არ მეპარება. წინასწარ ლაპარაკი ტრაბახის ტოლფასია, შეგატყობინებთ, როგორც კი გავაკეთებ ან შევიძენ რამეს, – ამბობს ხიდაშელი.

იშლება თუ არა რუსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად?

რუსეთის თავისუფალი ხალხების ფორუმმა მიიღო დეკლარაცია რუსეთის დეკოლონიზაციის შესახებ

მარიამ მჭედლიშვილი

რუსეთის თავისუფალი ხალხების მეორე ფორუმმა, რომელიც პრაღაში 24 ივლისს დასრულდა, მიიღო დეკლარაცია რუსეთის ფედერაციის დეკოლონიზაციის შესახებ. შეკრებილები საუბრობდნენ რუსეთის დეპუტინიზაციაზე, დემილიტარიზაციასა და დეიმპერიალიზაციაზე.

რა გეგმები აქვს რუსეთის თავისუფალი ხალხების ფორუმს

ფორუმში, კრემლის პოლიტიკური ოპოზიციის ნაწილის გარდა, მონაწილეობდნენ რუსეთის სუბიექტების, ავტონომიების ეროვნული მოძრაობების წარმომადგენლები. მათ შორის იყო ჩეჩნეთის დევნილი პრემიერი ახმედ ზაკაევი, რომელიც უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ უკრაინაში იმყოფებოდა.

ფორუმის მონაწილეები თანხმდებიან იმაზე, რომ კოლონიალურ რუსეთს სხვადასხვა ეროვნების ხალხი ოკუპირებული ჰყავს. საჭიროა მათი გათავისუფლება. მონაწილეების აზრები ვადების გამო იყოფა: გამოითქმის მოსაზრება, რომ რუსეთის იმპერიის დაშლას დრო დასჭირდება და ჯერ უნდა ჩამოყალიბდეს კონფედერაცია. სხვები დარწმუნებული არიან, რომ თავიდანვე უნდა გამოცხადდეს გამოყოფილი სუბიექტების დამოუკიდებლობა.

თავისუფალი ხალხების პირველი ფორუმი მაისში ვარშავაში გაიმართა. მომავალი ლიეტუვის ქალაქ კლაიპედაში ჩატარდება. ფორუმი რეგულარული გახდა და ყოველ სამ-ექვს თვეში ერთხელ მოეწყობა.

რუსეთის თავისუფალი ხალხების მეორე ფორუმმა მოუწოდა რუსეთის ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებს, უარი თქვან უკრაინის წინააღმდეგ უსამართლო ომში ბრძოლაზე და ან შინ დაბრუნდნენ, ან უკრაინის ჯარს ჩაჰბარდნენ.



პრაღის დეკლარაცია რუსეთს აცხადებს ტერორისტულ სახელმწიფოდ, რომლის კოლონიალურმა პრაქტიკამ საუკუნეების განმავლობაში (იძულებითი გადასახლება, გენოციდი) ადგილობრივი ხალხები აქცია ისტორიული უსამართლობის მსხვერპლად.

– ჩვენი ხალხები საკუთარი ნების წინააღმდეგ ჩაითრიეს სამხედრო დანაშაულებში. ცენტრის იმპერიული პოლიტიკის გამო ჩვენ წინააღმდეგ შემოაქვთ სანქციები, ჩვენ გვემუქრებიან ცივილიზაციური იზოლაციით, აგრეთვე სრული გაქრობით, – ჩაიწერა დეკლარაციაში.

თავისუფალი ხალხების მეორე ფორუმს წინ უძღოდა მიმართვა აშშ-ის პრეზიდენტისადმი. მსგავსი მიმართულების ორგანიზაციამ სახელწოდებით „თავისუფალი ერების ლიგა“ მოუწოდა ჯო ბაიდენს, დაეხმაროს დაპყრობილ ხალხებს რუსეთის შემადგენლობიდან გამოსვლაში. ახმედ ზაკაევმა თავის ბოლო ინტერვიუში განაცხადა, რომ ომი გამოიწვევს რუსეთის იმპერიის დაშლას. მისივე თქმით, უკრაინა აგრესორის წინააღმდეგ ომში გაიმარჯვებს.

ფორუმის მონაწილეები ყველაფერში არ ეთანხმებიან პუტინის ძირითად პოლიტიკურ ოპოზიციას. მათი აზრით, რუსეთის ოპოზიციის ლიდერებს სურთ ცუდი მეფის კარგი მეფით შეცვლა და არა ძირეული რეკონსტრუქცია, სტრუქტურული ტრანსფორმაცია რუსეთის რეგიონების სასარგებლოდ. ამ კუთხით, ფორუმი უფრო რადიკალურია.

აშშ-ში ისევ მსჯელობენ რუსეთის ტერორიზმის სპონსორ სახელმწიფოდ გამოცხადებაზე

რუსეთში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების გარდა, რუსეთის ტერორიზმზე სხვებიც ამახვილებენ ყურადღებას.

უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლები დროდადრო მოუწოდებენ აშშ-ს, გამოაცხადოს რუსეთი ტერორიზმის სპონსორად, ტერორისტულ სახელმწიფოდ. ამავე აზრს ემხრობიან ამერიკის ხელისუფლების სხვადასხვა შტოს წარმომადგენლები. მაგალითად, აშშ-ის სენატის პროფილურმა კომიტეტმა თვეზე მეტი ხნის წინ, 24 ივნისს, მხარი დაუჭირა რეზოლუციას რუსეთის ტერორიზმის სპონსორ სახელმწიფოდ აღიარების შესახებ. ამ დღეებში წარმომადგენელთა პალატის თავმჯდომარე ნენსი პელოსმა მოუწოდა სახელმწიფო მდივან ენტონი ბლინკენს, აღიაროს რუსეთი ტერორიზმის სპონსორად.

ამაზე კომენტარს აკეთებს აშშ-ის ელჩი უკრაინაში ბრიჯიტ ბრინკი.

– აშშ განიხილავს რუსეთის ტერორიზმის სპონსორ სახელმწიფოდ გამოცხადების საკითხს. ეს საკითხი გულმოდგინე ანალიზს მოითხოვს. უკრაინამ არაერთხელ მოუწოდა აშშ-ს, ცნოს რუსეთი ტერორიზმის სპონსორ სახელმწიფოდ და ჯერ კიდევ გაზაფხულზე აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა განაცხადა, რომ ამ საკითხს ყურადღებით განიხილავს. ეს საკითხი განსაკუთრებულად გასაანალიზებელია ამერიკის კანონებთან შესაბამისობაში. რუსეთს ახლაც ვაიძულებთ, აგოს პასუხი თავის ქმედებებზე. ჩვენ პარტნიორებთან და მოკავშირეებთან ერთად შემოვიღეთ უპრეცედენტო სანქციები და ამის გაკეთებას მომავალშიც გავაგრძელებთ, – განაცხადა აშშ-ის ელჩმა უკრაინაში.

სახელმწიფო დეპარტამენტმა ტერორიზმის სპონსორ სახელმწიფოებად აღიარა ლიბია, ერაყი, სირია, სამხრეთი იემენი, კუბა, ირანი, ჩრდილოეთ კორეა.

რუსი ოპოზიციონერი დასავლეთს მოუწოდებს, ჩაატაროს საერთაშორისო სამხედრო სპეცოპერაცია რუსეთის შავი ზღვის ფლოტის გასანადგურებლად

ფორუმში მონაწილეების გარდა, პუტინს ჰყავს ოპონენტები, რომლებიც ან დაპატიმრებული არიან, ან რუსეთიდან გადახვეწილი.

ერთ-ერთი მათგანი, პოლიტიკოსი და პუბლიცისტი, ალექსანდრ სკობოვი, დასავლეთს უფრო რადიკალური ნაბიჯებისკენ მოუწოდებს. სკობოვი, ისევე, როგორც სხვა ბევრი ადამიანი, აღაშფოთა ოდესის დაბომბვამ მას შემდეგ, რაც მოლაპარაკებებზე რუსეთმა პირობა დადო, რომ არ შეეხებოდა უკრაინის პორტებს, რათა ხელი არ შეშლოდა ხორბლის ექსპორტს.

– არავითარი შეთანხმება, არავითარი დოკუმენტი რუსეთის ხელისუფლებას არაფერს ავალდებულებს და მას არანაირად არ ზღუდავს. რუსეთის ხელისუფლებას არ ჰყავს პარტნიორები. ის ვერავის ვერაფერზე ვერ უთანხმდება. ისინი ყველას საკუთარ ნებას კარნახობენ. უკრაინის ხორბლის გატანის უზრუნველყოფა ნაცისტურ აგრესორთან მოლაპარაკებებით ვერ მოხდება. ეს შესაძლებელია საერთაშორისო სპეციალური სამხედრო ოპერაციით რუსეთის შავი ზღვის ფლოტის განადგურების ლიკვიდაციის მიზნით, – აცხადებს კრემლის ოპონენტი სკობოვი.

„ოპოზიცია, 10 წელია, ერთსა და იმავე რეჟიმშია“

ამირან სალუქვაძე: „ევროპარლამენტარების განცხადებები რადიკალური ოპოზიციის სასარგებლო არ არის“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ამირან სალუქვაძე პასუხობს.

– ბატონო ამირან, ოპოზიციის ერთი ნაწილი ევროპული საბჭოს 12-პუნქტიანი რეკომენდაციის შესრულების მეორე გეგმაზე ალაპარაკდა. ევროპარლამენტარებმა საქართველოში ვიზიტის დროს ოპოზიციასა და ხელისუფლებას ერთად მუშაობისკენ მოუწოდეს, მაგრამ ოპოზიციის ნაწილი აცხადებს, რომ ცალკე უნდა იმუშაონ. ეს რის მაჩვენებელია, ასეთი მიდგომა რას ემსახურება?

– მათ გეგმებში, მათ ინტერესებში არ შედის ევროინტეგრაცია, ქვეყნის განვითარება და წინსვლა. მათ ერთადერთი დღის წესრიგი აქვთ – რევოლუცია, რევოლუციური გზით მათი ბელადების ციხიდან დახსნა და ხელისუფლებაში დაბრუნება. მათი მხრიდან ქვეყნისთვის კონსტრუქციული ნაბიჯების გადადგმა მოსალოდნელი არ არის. 10 წელია, ქვეყანას არყევენ და ერთსა და იმავე რეჟიმში არიან.

არავითარი ორი გეგმა არ უნდა არსებობდეს. რადიკალურ ოპოზიციას ისიც ავიწყდება, რომ თავად ხელისუფლებაში არ არის. ხელისუფლება რაღაც 2%-იან პოლიტიკოსებთან კი არ უნდა მივიდეს, არამედ მოედანი უნდა შექმნას, რომ მაქსიმალურად ყველა პოლიტიკური სუბიექტი წარმოჩნდეს. 2%-იან პარტიებს ძალა რომ ჰგონიათ, სუბიექტები არიან. სამწუხაროდ, ისეთი მახინჯი კანონი გვაქვს, 5-კაციან, 2-კაციან პარტიას, რომელთა წევრებს ქვეყანაში არავინ იცნობს, ხელისუფლებამ სამუშაო არეალი უნდა შეუქმნას, რათა პოლიტიკურ პროცესებში ჩაერთონ.

ხელისუფლებამ სამუშაო სივრცე ყველა სუბიექტს შეუქმნა, მაგრამ მონაწილეობა არ სურთ. როგორც წესი, სააკაშვილი, ხაზარაძე და გიორგი ვაშაძე სახელმწიფო ინტერესების დღის წესრიგიდან ყოველთვის ამოვარდნილი არიან.

– ევროპარლამენტარები რატომ ვერ ხედავენ რადიკალური ოპოზიციის არასათანადო ქმედებას იმ მოთხოვნების შესრულებისთვის, რომლებსაც ისინი საქართველოს უყენებენ, რაც ჩვენთვის, როგორც თქვენ თქვით, არასახელმწიფოებრივი მიდგომაა?

– ჩემი ინფორმაციით (და პლუს რაც საჯაროდ გავრცელდა), ვიცით, რომ ევროპარლამენტარებს შეხვედრები ჰქონდათ მმართველ პარტიაში პრემიერთან. მათთან შედგა გარკვეული საუბრები, დეტალებს არ განვიხილავ, მაგრამ ჩვენ ევროპარლამენტარების ცოტა კორექტირებული პოზიცია ვნახეთ.

სწორედ იმ შეხვედრებისა და მოლაპარაკებების გამოძახილია ის, რომ ევროპარლამენტარები მოუწოდებენ, მათ შორის, სამ გაურკვეველ რადიკალურ პოლიტიკურ სუბიექტს, ერთ სამუშაო ჯგუფში ჩაერთონ, პარალელური პროცესები არ იყოს. მათ ისიც ძალიან კარგად დაინახეს, ვინ აფერხებს და ვინ ახდენს პროცესის საბოტაჟს.

ამიტომ მკაფიოდ განაცხადეს, რომ პარალელური პროცესები, პარალელური ჯგუფები 12-პუნქტიანი რეკომენდაციის შესრულებასა და მოკლე ვადებში ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღებას აზიანებს. მათ ერთი რამ აწუხებთ – სანამ ისინი ხელისუფლებაში არ იქნებიან, საქართველოში სასიკეთო არაფერი მოხდეს.

– შეიძლება ვთქვათ, რომ ევროპარლამენტარების კორექტირებული პოზიცია (როგორც თქვენ აღნიშნეთ), ინფორმაციის მიწოდებითაა გამოწვეული და, ზოგადად, მმართველი ჯგუფისაგან ინფორმაციის ნაკლებობას განიცდიდნენ?

– ინფორმაციის სრულყოფილად მიღება მნიშვნელოვანია, მაგრამ ერთია, როცა პროცესებს ბრიუსელიდან უყურებ და მეორეა, როცა ადგილზე ჩამოდიხარ. ელოდნენ, რომ ქართული ოპოზიცია მათ კოლეგებს ბრიუსელიდან ანგარიშს გაუწევდა.

ევროპარლამენტარებმა ადგილზე რეალური პროცესი დაინახეს, არა ტელევიზიით, არამედ ადგილზე, თბილისში დაინახეს, რომ ხელისუფლება და პოლიტიკური სუბიექტების ნაწილი პროცესში ჩართულია, ხოლო ნაწილი, კერძოდ, სამი პოლიტიკური სუბიექტი, საბოტაჟს ახდენს.

როცა საბოტაჟს ადგილზე ხედავ, როგორც არ უნდა უჭერდე მხარს ნაცმოძრაობასა და მის მოკავშირე პარტიებს, თეთრზე შავისა და შავზე თეთრის თქმა ღიად რთულია. ამიტომ, გარკვეულწილად, მათი პოზიციისა და განცხადებების კორექტირება მოხდა. ევროპარლამენტარების განცხადებები რადიკალური ოპოზიციის სასარგებლო არ არის.

– როგორ ფიქრობთ, საბოლოოდ რადიკალურ ოპოზიციას დაუჭერენ მხარს?

– ვის რა პოზიცია და დღის წესრიგი უნდა ჰქონდეს საბოლოოდ? თეთრზე შავის თქმა გაუჭირდებათ. შეიძლება, თეთრზე თქვან, ნაცრისფერი ან კრემისფერიაო, მაგრამ თეთრზე შავის თქმა რთულია. სანამ ახალ საბაბს

არ გამონახავენ, რომ ჩვენ კანდიდატის სტატუსი არ მოგვანიჭონ, ყველა პარამეტრით, აქამდე ჩატარებული ყველა კვლევითა და რეიტინგით, პლუს ახლა დარჩენილი 12 მოთხოვნის შესრულებით რთული იქნება, კანდიდატის სტატუსზე უარი გვითხრან. თუ ვადას ნახევარი ან ერთი წლით გადასწევენ, არც ესაა პრობლემა და არაფერს ანგრევს. კი, ცრუ აჟიოტაჟს ქმნიდნენ, თითქოს 14– მილიარდიან პროგრამას ვწყდებოდით, რაც აბსოლუტური სიცრუეა. იმავე ფინანსურ პროგრამებთან გვექნება წვდომა, რაც კანდიდატობის შემთხვევაში გვექნებოდა.

ევროპული პერსპექტივა იმავე საინვესტიციო კლიმატის შექმნას ნიშნავს, რაც კანდიდატობაა. იმის თქმა, რომ ამით მიმზიდველობა ან საინვესტიციო კლიმატი გაუარესდებოდა, სწორი არ იქნება. ინვესტორთა დაინტერესება მხოლოდ ამაზე არ არის დამოკიდებული.

დღეს მსოფლიოში ძალიან მძიმე ეკონომიკური სიტუაციაა უკრაინაში რუსეთის აგრესიის გამო. სხვა მხრივ, ფინანსების მოზიდვის კუთხით, პრობლემები არ იქნება. ევროპული პერსპექტივა ნებისმიერი ინვესტორისთვის უკვე ნიშნავს, რომ ადრე თუ გვიან ევროკავშირის წევრი ვიქნებით. ინვესტორისთვის მნიშვნელობა არ აქვს, ერთ თვეში გავხდებით ევროკავშირის წევრი, ერთ წელიწადში თუ 5-ში. მთავარია, რომ ეს პერსპექტივა გამოკვეთილია. ამიტომ მე ამ კუთხით ოპტიმისტურად ვარ განწყობილი.

მთავარია, ქვეყნის შიგნით შევინარჩუნოთ მშვიდობა, ეკონომიკური ზრდა და ის ტენდენციები, რომლებიც გამოიკვეთა, მათ შორის, ეროვნული ვალუტის სტაბილურობა. ამ პროცესში გაცილებით გავაუმჯობესებთ მოსახლეობის ყოფას. ევროინტეგრაციის კუთხით ყველაფერი გაცილებით კარგად განხორციელდება.

კანდიდატობაც რომ მიგვეღო, წევრობას დიდი დრო სჭირდება – 5-10-15 წელი. სხვა უამრავი რეგულაციაა განსახორციელებელი. ის, რაც მოხდა ნაჩქარევად უკრაინაში ომის გამო – ორი სახელმწიფოსთვის კანდიდატობა, ერთი სახელმწიფოსთვის ევროპული პერსპექტივა – წევრობას ვერ აჩქარებს.

ასოცირების ხელშეკრულების შესაბამისად, ჩვენი ქვეყანა ასობით რეგულაციას ახორციელებდა ყველა სფეროში. 140-ზე მეტი რეგულაცია მხოლოდ სოფლის მეურნეობის კუთხითაა განხორციელებული. წარმოიდგინეთ, ეკოლოგია, ინფრასტრუქტურული პროექტები და უამრავი სხვა მიმართულებაა, რომლებიც ევროკავშირის ერთიან სტანდარტში უნდა იყოს მოქცეული იმ კანონებისა და რეგულაციების შესაბამისად, რომლებიც ევროკავშირში მოქმედებს. ეს საკმაოდ რთული პროცესია, რომელსაც ეტაპობრივად შესწავლა, მიღება და დანერგვა სჭირდება.

ამის განხორციელება 2014 წლამდე იყო გათვალისწინებული. დანამდვილებით ვიცი, რომ ყველა უწყებას, ყველა სამინისტროს გაწერილი ჰქონდა 2024 წლისთვის ვალდებულებების 60-70%-ით შესრულება.

თუმცა, შეიძლება, ბევრი რამ 2024 წლამდე დაჩქარებითაც შესრულდეს, მაგრამ კიდევ ბევრი რამ იქნება გასაკეთებელი.

ბორჯომთან მანქანა გადაბრუნდა

ბორჯომის მუნიციპალიტეტში მიკროავტობუსი, რომელსაც მგზავრები გადაჰყავდა, გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და გადაბრუნდა.

არსებული ინფორმაციით, ახალციხე-თბილისის ე.წ. სამარშრუტო ტაქსიში 14-მდე ადამიანი იმყოფებოდა, არსებული ცნობით, რამდენიმე ადამიანი მსუბუქად დაშავდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეორე ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლოატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია.

ფოტო: ტელეკომპანია „ბორჯომი“.

პროკურატურამ კიდევ ერთი ყოფილი მსჯავრდებულის მიმართ არსებული გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვის გადაწყვეტილება მიიღო

საქართველოს გენერალური პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტმა, ჩატარებული ხელახალი სრულყოფილი და ობიექტური გამოძიების შედეგად, ყოფილი მსჯავრდებულის სიმონ გაბრიელაშვილის მიმართ არსებული გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვის გადაწყვეტილება მიიღო. აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაციას საქართველოს გენერალური პროკურატურა ავრცელებს.

უწყების ცნობით, აღნიშნულ საქმეზე ახალი მოწმეები დაიკითხნენ, ჩატარდა ათეულობით საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება, მოპოვებულ იქნა ახალი მტკიცებულებები, შესწავლილ იქნა საგამოძიებო და სასამართლო საქმის მასალები.

„ახალი გამოძიების შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებათა ერთობლიობის ანალიზის საფუძველზე, სიმონ გაბრიელაშვილის მიერ რაიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტი გამოირიცხა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 3 ივნისის განაჩენით, სიმონ გაბრიელაშვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა 10.000 ლარის ოდენობით. იმავე განაჩენით, სახელმწიფოს სასარგებლოდ, უსასყიდლოდ ჩამოერთვა ქ.თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში მდებარე ბინა (მისი ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი), როგორც დანაშაულებრივი ქმედებების შედეგად მიღებული ქონება. განაჩენი უცვლელად ძალაში დატოვეს სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებმა.

იმჟამინდელი ბრალდების თანახმად, 2007 წელს სიმონ გაბრიელაშვილმა დაამზადა ყალბი ოფიციალური დოკუმენტი – მინდობილობა, რომლის მიხედვით, გარდაცვლილი ა.გ.-ს პირველი რიგის მემკვიდრის მეუღლის ე.გ.-ს მიერ გაბრიელაშვილს მიენიჭა გარკვეული უფლებები, მათ შორის თბილისში, ღოღობერიძის ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონების განკარგვის უფლება. შედეგად, მან მოტყუებით მოიპოვა ქონებრივი უფლება ზემოხსენებულ უძრავ ნივთზე. ქონების უკანონო წარმოშობის დაფარვისა და მისი ნამდვილი ბუნების შენიღბვის მიზნით, ფიქტიური ნასყიდობის ხელშეკრულებით, ქონება გააფორმა დ.კ.-სა და თ.რ.-ს სახელზე. შემდგომ პერიოდში სიმონ გაბრიელაშვილმა, დ.კ.-ის მეშვეობით, ამ უკანასკნელის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონება გაცვალა ქ. თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში მდებარე ბინაში და საბოლოოდ მიიღო დიდი ოდენობით სარგებელი.

ახალი გამოძიების ფარგლებში, დაიკითხნენ ახალი მოწმეები, მათ შორის, სამართლებრივი დახმარების ფარგლებში დაიკითხნენ რუსეთის ფედერაციაში მცხოვრები, უძრავი ქონების ყოფილი მესაკუთრე და მისი ნათესავები. ხსენებულმა პირებმა დაადასტურეს 2006 წელს სიმონ გაბრიელაშვილზე უძრავი ქონების გასხვისების, მისგან შესაბამისი საფასურის მიღების ფაქტი და აღნიშნეს, რომ მათ რაიმე სახის პრეტენზია სიმონ გაბრიელაშვილის მიმართ არ გააჩნიათ და არც წარსულში გააჩნდათ. ამდენად, სიმონ გაბრიელაშვილის მხრიდან უძრავი ქონების შეძენის პროცესში რაიმე ფორმით ჩადენილი თაღლითობის ფაქტი გამოირიცხა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ახალი გამოძიებით მოპოვებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ყოფილი მსჯავრდებულის მიმართ პროკურატურის მიერ გამოტანილ იქნა დადგენილება მსჯავრდებულის უფლებების არსებითად დარღვევის შესახებ. შესაბამისად, პროკურატურა მიმართავს სააპელაციო სასამართლოს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობით. საქმეზე გამამართლებელი განაჩენის მიღების შემდგომ, სიმონ გაბრიელაშვილს მიეცემა სამართლებრივი საშუალებები, რათა დაიბრუნოს გამამტყუნებელი განაჩენით ჩამორთმეული უძრავი ქონება.

დეპარტამენტის შექმნიდან დღემდე დაზარალებულად იქნა ცნობილი 454 პირი, რომელთაგან 322 პირს პროკურატურის შემაჯამებელი გადაწყვეტილების შედეგად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დაუბრუნდა ან/და დაბრუნების პროცესშია დაახლოებით 60 000 000 ლარის ღირებულების უძრავი და მოძრავი ქონება. გარდა ამისა, დეპარტამენტის მიერ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობით, სასამართლოს 115 მსჯავრდებულის საქმეზე მიემართა. დღეის მდგომარეობით, სასამართლოს გადაწყვეტილებით 94 პირის მიმართ უკვე დამდგარია გამამართლებელი განაჩენი, მათგან 30 პირს საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის დადგენილებით, მინიჭებული აქვს პოლიტპატიმრის სტატუსი“, – ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

საგამოძიებო მოქმედებები რუსთავის ციხეში – სუს-ის გამომძიებლები სოსო გოგაშვილს დნმ-ის ნიმუშებს უღებენ

საგამოძიებო მოქმედებები რუსთავის ციხეში – სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გამომძიებელთა ჯგუფი ყოფილ მაღალჩინოსანს, სოსო გოგაშვილს, დნმ-ის ნიმუშებს უღებს. ეს, სავარაუდოდ, იმ მტკიცებულებებთან შესადარებლადაა საჭირო, რომლებიც გოგაშვილის სახლიდან ამოიღეს. პროცესს დაკავებულის ადვოკატებიც ესწრებიან.

სოსო გოგაშვილმა სასამართლოზე თქვა, რომ მას იარაღი „ჩაუდეს“.

სუს-იდან გამოტანილ დოკუმენტებთან დაკავშირებით „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოსა“ და „სამართლიანი არჩევნების“ წარმომადგენლები კი პროკურატურამ გამოკითხვაზე დაიბარა. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ამბობენ, რომ გამოძიებასთან ითანამშრომლებენ.

– რა თქმა უნდა, ჩვენ ყველანაირ მზადყოფნას ვაცხადებთ გამოძიებასთან სათანამშრომლოდ, დაგვიკავშირდნენ წინა კვირის ბოლოს, ხვალ მივდივარ გასაუბრებაზე. ჯერ გამოძიება არ დაუწყიათ და გასაუბრებაზე გვიბარებენ. ჩვენ, ბუნებრივია, ამ ფორმატშიც მივალთ, მაგრამ, იმედი გვაქვს, რომ ძალიან მალე დაიწყებენ გამოძიებას, – თქვა ტი-ს დირექტორის მოადგილე გიორგი ონიანმა.

სოსო გოგაშვილის მიერ მიწოდებული დოკუმენტები, რომლებიც არჩევნების გაყალბების ფაქტებს ეხება, მესამე სექტორის წარმომადგენლებმა გაშიფრეს.

მოსამართლე გიორგი კვერენჩხილაძე: „აცილების საკითხს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი განიხილავს“

– მოსამართლე საზოგადოებას სასამართლო აქტებითა და გადაწყვეტილებებით უნდა ესაუბროს. შესაბამისად, ამ ეტაპზე მე არ გავაკეთებ კომენტარს ჩემი აცილების შუამდგომლობის თაობაზე.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლემ გიორგი კვერენჩხილაძემ განუცხადა.

– აცილების საკითხს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი განიხილავს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, სადაც დაფიქსირდება ჩემი პოზიცია ხსენებული შუამდგომლობის საფუძვლიანობის შესახებ, – აღნიშნა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლემ.

საქართველოს პარლამენტი საკონსტიტუციო სასამართლოში განსახილველ ერთ-ერთ საქმეზე მოსამართლე გიორგი კვერენჩხილაძის აცილებას ითხოვს.

როგორც იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ანრი ოხანაშვილი განმარტავს, კვერენჩხილაძემ სოციალურ ქსელში საჯაროდ დააფიქსირა პოზიცია და გამოხატა დამოკიდებულება საქმისადმი, რომელიც მან უნდა განიხილოს და იყოს მომხსენებელი.

საქმე „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში შეტანილ ცვლილებებს ეხება. თავის მხრივ, საკონსტიტუციო სასამართლოში პარლამენტის ინტერესების წარმომადგენლობას იურიდიულ საკითხთა კომიტეტის აპარატი ახორციელებს.

პროკურატურამ გაუპატიურების მცდელობის, თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და მუქარის ფაქტზე დაკავებულს ბრალდება წარუდგინა

საქართველოს პროკურატურამ დუშეთში გაუპატიურების მცდელობის, თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და მუქარის ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა.

გენერალური პროკურატურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 3 ივლისს, ღამის საათებში, ბრალდებულმა დაზარალებული საკუთარ ავტომობილში ჩაკეტა, ძალის გამოყენებით შებოჭა და მისი გაუპატიურება ცადა, თუმცა ვერ შეძლო დაზარალებულის მხრიდან გაწეული წინააღმდეგობის გამო. აღნიშნულის შემდეგ, ბრალდებული დაზარალებულს სოციალური ქსელის მეშვეობით გაუპატიურებით და ჯანმრთელობის დაზიანებით დაემუქრა.

„სამართალდამცველებმა ბრალდებული 21 ივლისს დააკავეს. პროკურატურამ მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,137-ე მუხლის პირველი ნაწილით (გაუპატიურების მცდელობა), 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (თავისუფლების უკანონო აღკვეთა, სხვა დანაშაულის ჩადენის გადავილების მიზნით) და 151-ე მუხლის პირველი ნაწილით (მუქარა) წარუდგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 6-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურამ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით სასამართლოს უკვე მიმართა.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება“, – ნათქვამია უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

მოსამართლე დავით ნარიმანიშვილს მშობლებმა 108.000 ლარი აჩუქეს, რაც მის წლიურ ხელფასზე თითქმის 2-ჯერ მეტია

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლე დავით ნარიმანიშვილს 2021 წელს მშობლებმა 108.000 ლარი აჩუქეს. მოსამართლემ ეს თანხა ყოველწლიურ დეკლარაციაში მიუთითა. ეს თითქმის ორჯერ მეტია მოსამართლის წლიურ ხელფასზე. ამავე დეკლარაციის მიხედვით, წლის განმავლობაში ხელფასის სახით 65.680 ლარი მიიღო.

„რადიო თავისუფლების“ ცნობით, დავით ნარიმანიშვილი, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლომდე გურჯაანის სასამართლოში მუშაობდა, მშობლებისგან 2019 წლიდან მუდმივად იღებს საჩუქრად ფულს. 2021 წლის დეკლარაციაში მას მითითებული აქვს, რომ მშობლებისგან მიიღო 21.700 ლარი, 2020 წლის დეკლარაციაში საჩუქრად მიღებულ 27.000 ლარს ვხვდებით, 2019 წელს კი – 8.500 ლარს.

გამოცემის ცნობით, 2021 წელს გამოქვეყნებულ კვლევაში, არასამთავრობო ორგანიზაცია „უფლებები საქართველო“ მიუთითებდა, რომ დავით ნარიმანიშვილი ერთ-ერთია იმ 11 მოსამართლეს შორის, რომელთა დიპლომები არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, რაც მოსამართლის განათლებისა და კვალიფიკაციის მიმართ არსებობს.

ქუთაისში ახალგაზრდებმა იჩხუბეს

ახალგაზრდების ჩხუბი და პოლიციის უმოქმედობა ქუთაისში. ინციდენტი ქალაქის ცენტრალურ გამზირზე, ტურისტების თავშეყრის ადგილას მოხდა.

სოციალურ ქსელში გავრცელებულ კადრებში ჩანს, რომ ახალგაზრდებს შორის დაპირისპირებაა, თუმცა კრიმინალური პოლიცია შემთხვევის ადგილას ისე ჩაივლის, რომ რეაგირებას არ ახდენს.

ამ კადრებს უფლებადამცველებისა და სამოქალაქო აქტივისტების მწვავე რეაგირება მოჰყვა.

რატომ არ ჰქონდა ფაქტზე რეაგირება პოლიციას – ამ კითხვაზე საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებმა პრესსამსახურთან გადაგვამისამართეს. ადგილობრივები კი ამბობენ, რომ ბოლო დროს პოლიცია საერთოდ უმოქმედო გახდა.

სხვისი ნივთის დაზიანების ბრალდებით 1991 წელს დაბადებული თ.ხ. დააკავეს

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა სხვისი ნივთის დაზიანების ბრალდებით 1991 წელს დაბადებული თ.ხ. დააკავეს.

საგამოძიებო უწყების ცნობით, გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 23 ივლისს, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა თ.ხ.-მ 1983 წელს დაბადებული კ.ა.-ს სარგებლობაში არსებული ავტომობილი დააზიანა.

სამართალდამცველებმა ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავეს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს. დანაშაული 3 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გადაიყვანენ თუ არა მიხეილ სააკაშვილს სამკურნალოდ საზღვარგარეთ

საქართველოს მესამე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის საქმეში უცხოელი ექსპერტები მომდევნო დღეებში ჩაერთვებიან. შესაბამისი ლიცენზია ჯანდაცვის სამინისტრომ უნდა გასცეს. ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე აცხადებს, რომ მისცემენ თუ არა მათ ლიცენზიას, შეკითხვას წინასწარ ვერ უპასუხებს, რადგან ამას სამედიცინო რეგულირების სააგენტო გადაწყვეტს.

რაც შეეხება შეკითხვას, როგორ მიმდინარეობს მიხეილ სააკაშვილის მკურნალობა და გადაიყვანენ თუ არა მას საზღვარგარეთ სამკურნალოდ, მინისტრი შეკითხვას არ პასუხობს.

მიხეილ სააკაშვილს დამატებითი კვლევები ჩაუტარეს. კლინიკა „ვივამედში“ სამედიცინო პროცედურა რამდენიმე საათს გაგრძელდა.

უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის დამპყრობლური ომის ფონზე ევროპამ ერთიანი პოზიცია უნდა შეინარჩუნოს

გერმანიის პრეზიდენტ ფრანკ ვალტერ შტაინმაიერის განცხადებით, უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის დამპყრობლური ომის ფონზე ევროპამ ერთიანი პოზიცია უნდა შეინარჩუნოს. ამის შესახებ ინფორმაციას გერმანული გამოცემა Spiegel ავრცელებს.

შტაინმაიერის თქმით, ომი, რომელსაც რუსეთი აწარმოებს უკრაინის წინააღმდეგ, ასევე არის ომი ევროპის ერთიანობის წინააღმდეგ.

– ჩვენ არ უნდა დავუშვათ, რომ გაგვხლიჩონ, არ უნდა მივცეთ უფლება, რომ გაერთიანებული ევროპის დიდი სამუშაო განადგურებული იყოს, – განაცხადა გერმანიის პრეზიდენტმა.

მისი თქმით, საუბარი ეხება არა მხოლოდ უკრაინის ტერიტორიას, არამედ ღირებულებების ერთობასაც. შტაინმაიერი მიიჩნევს, რომ ამ ღირებულებების დაცვა ნიშნავს სერიოზული უხერხულობების მიღებას.

„მზად ვართ თუ არა ამისთვის? ჩვენ ყველა ვდგებით ამ კითხვის წინაშე“, – განაცხადა შტაინმაიერმა.

PT-91 ტიპის ტანკები პოლონეთიდან უკვე უკრაინაშია

PT-91 ტიპის ტანკები პოლონეთიდან უკვე უკრაინაშია. ამის შესახებ ინფორმაციას უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელი ანდრეი ერმაკი „ტელეგრამის“ გვერდზე ავრცელებს. ის სოციალურ ქსელში უკრაინაში ჩასული ტანკების ფოტოსაც აზიარებს.

„PT-91 ტიპის ტანკები პოლონეთიდან უკვე უკრაინაშია. მადლობა ჩვენს მეგობრებს“, – წერს ერმაკი სოციალურ ქსელში.

სერგეი ლავროვი ოთხდღიანი ვიზიტით აფრიკაში იმყოფება

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი აფრიკაში, რამდენიმე ქვეყანაში ოთხდღიანი ვიზიტით იმყოფება.

მედიის ინფორმაციით, პირველი შეხვედრა ეგვიპტეში გაიმართა, სადაც რუსმა დიპლომატმა მისი კოლეგის სამეჰ შუქრის დარწმუნება ცადა, რომ რუსული მარცვლეულის მიწოდება გაგრძელდებოდა. ეგვიპტე ხორბლის ერთ-ერთი წამყვანი იმპორტიორია, რომელმაც ხორბლის 80% გასულ წელს უკრაინისა და რუსეთისაგან იყიდა.

ლავროვი ასევე შეხვდა არაბული სახელმწიფოების ლიგის გენერალურ მდივან აჰმედ აბულ გეიტს, სადაც ისაუბრა რუსეთსა და არაბთა ლიგას შორის თანამშრომლობის გაღრმავებაზე.

– ჩვენ დავადასტურეთ ბურღულეულის მიწოდებასთან დაკავშირებით რუსი ექსპორტიორების ვალდებულება, რომ სრულად დააკმაყოფილონ თავიანთი შეკვეთები. ჩვენ განვიხილეთ თანამშრომლობა ამ სფეროში, შევთანხმდით შემდგომ კონტაქტებზე და გვაქვს საერთო გაგება მარცვლეულის კრიზისის გამომწვევ მიზეზებზე, – განაცხადა ლავროვმა კაიროში ეგვიპტელ კოლეგა სამეჰ შუქრისთან მოლაპარაკების შემდეგ.

ლავროვის ტური ასევე უგანდაში, ეთიოპიასა და კონგოში გაიმართება.

იაპონიაში კუნძულ კიუშუზე ვულკანი ამოიფრქვა

იაპონიის დასავლეთით მდებარე კუნძულ კიუშუზე ვულკანი ამოიფრქვა. ამის შესახებ ინფორმაციას Reuters-ი ავრცელებს.

იაპონიის მეტეოროლოგიური სააგენტოს ცნობით, ვულკანი საკურაძიმა, რომელიც კუნძულ კიუშუს სამხრეთით მდებარეობს, ადგილობრივი დროით დაახლოებით, 20:05 საათზე ამოიფრქვა.

მედიის ცნობით, ამ დროისთვის განგაშის დონე 5-მდე გაიზარდა, რაც ყველაზე მაღალია. ზოგიერთ რეგიონში კი ევაკუაციის რეკომენდაციასაც გასცემენ.

ამასთან, როგორც მედია იუწყება, ვულკანის შედეგად დაზარალებულთა შესახებ ამ დროისთვის ცნობები არ არის.

ცნობისთვის, საკურაძიმა იაპონიის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ვულკანია და მისი სხვადასხვა დონის ამოფრქვევა რეგულარულად ხდება.

ფილიპინებში უნივერსიტეტის კამპუსში ცეცხლი გახსნეს, დაიღუპა სამი ადამიანი

შეიარაღებულმა პირმა ფილიპინების დედაქალაქში, რეგიონის ერთ-ერთი უნივერსიტეტის კამპუსში გამოსაშვებ ცერემონიამდე ცეცხლი გახსნა, რის შედეგადაც სამი ადამიანი, მათ შორის, ქვეყნის სამხრეთით მდებარე ქალაქის ყოფილი მერი გარდაიცვალა.

ამის შესახებ ინფორმაცია მედიაში ვრცელდება.

მედიის ცნობით, დაშავებულთა შორის არის ყოფილი მერის ქალიშვილი, რომელიც აღნიშნული უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია.

პოლიციის ცნობით, მისი მდგომარეობა სტაბილურია.

ამასთან, როგორც დასავლური მედია იუწყება, სავარაუდო თავდამსხმელი მოგვიანებით დააკავეს. ადგილობრივმა პოლიციამ ინციდენტის მოტივად თავდამსხმელსა და ყოფილ მერს შორის ხანგრძლივი სამართლებრივი დავა დაასახელა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

მამაკაცმა მეხუთე სართულიდან გადმოვარდნილი ბავშვი დაიჭირა

ჩინეთის ჩუეზიანის პროვინციის ქალაქ ტუნსიანში მამაკაცმა სახლის ფანჯრიდან გადმოვარდნილი ორი წლის გოგონა დაიჭირა.

31 წლის შენ დუნი მანქანას აჩერებდა ქუჩაში, რა დროსაც დარტყმის ხმა გაიგონა. აღმოჩნდა, რომ ორი წლის გოგონა მეხუთე სართულის ფანჯრიდან გადმოვარდა და საცხოვრებელი კომპლექსის პირველი სართულის ტერასის ლითონის სახურავზე დაეცა. მან იმ წამსვე სამაშველო სამსახურს შეატყობინა ეს ყოველივე და გოგონას საშველად მივარდა.

სახურავზე დაცემის შემდეგ გოგონა გადაგორდა და სახურავიდან ჩამოცურდა. მამაკაცმა ტელეფონს თავი ანება და გოგონა მანამდე დაიჭირა, სანამ ის ბეტონზე დაეცემოდა. ამ ინციდენტის შედეგად გოგონას ფეხები და ფილტვები აქვს დაზიანებული. ექიმები მის მდგომარეობას აფასებენ, როგორც სტაბილურს.

მეთევზემ 30-კილოგრამიანი თევზი მშვილდ-ისრით მოინადირა

აშშ-ში მეთევზემ მსხვილი ცისფერი ლოქო მშვილდ-ისრით მოინადირა და ვირჯინიის შტატის ახალი რეკორდი დაამყარა.

ჯეისონ ემელი ბოუფიშინგით მდინარე პამუნკიზე იყო დაკავებული. ამერიკელმა მოახერხა, 114 სანტიმეტრი სიგრძისა და 30 კილოგრამი წონის ცისფერი ლოქო მოენადირებინა. მისი მიღწევა ვირჯინიის შტატის ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტთან არსებულმა რეკორდების კომიტეტმა დააფიქსირა. შტატის წინა რეკორდი მშვილდ-ისრით ცისფერი ლოქოს დაჭერაში უილიამ ბეიტს-უმცროსს ეკუთვნოდა, რომელმაც 2021 წელს 28-კილოგრამიანი თევზის დაჭერა მოახერხა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სპორტი

თბილისში ჩემპიონი სერბეთი გახდა, საქართველო მეთერთმეტეა

საქართველოს 20-წლამდე კალათბურთელთა ნაკრებმა თბილისში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონის გათამაშება მე-11 ადგილზე დაასრულა.

ქართველმა კალათბურთელებმა ბოლო შეხვედრა კოსოვოსთან ჩაატარეს, რომელთანაც ჯგუფურ ეტაპზე 92:59 ჰქონდათ მოგებული, ამჯერად კი უფრო დიდი ანგარიშით დაამარცხეს – 116:79.

ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მე-3 მეოთხედში საქართველოს ნაკრები მხოლოდ 2 ქულით იგებდა (52:50) და 37 ქულის სხვაობით მოიგეს.

საქართველოს ნაკრებში 30 ქულით ნიკოლოზ გაფრინდაშვილი გამოირჩა (11-დან 8 სამქულიანი), მერაბ შენგელიას 20 ქულა და 8 მოხსნა დაუგროვდა, ვლადიმერ სალარიძეს – 16 ქულა და 8 მოხსნა, ვლადიმერ თავაქარაშვილს კი – 16 ქულა და 5 პასი.

საერთო ჯამში, ქართველმა 20-წლამდელებმა ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონში 7 მატჩი ჩაატარეს და 4 მოიგეს. კოსოვოს გარდა, იყო გამარჯვებები ავსტრიასთან (81:65) და ნიდერლანდებთან (67:53), ხოლო შვედეთთან (67:77), ჩრდილოეთ მაკედონიასთან (73:76) და ირლანდიასთან (52:75) წავაგეთ.

ფიბას 20 წლამდე ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონში, რომელიც თბილისში 15 ივლისიდან მიმდინარეობდა, 19 ქვეყნის გუნდი მონაწილეობდა.

ფინალში ერთმანეთს სერბეთისა და ისლანდიის ნაკრებები დაუპირისპირდნენ. სერბები გასულ გათამაშებაში დაქვეითდნენ ა დივიზიონიდან და რანგის დაბალ დონეზე უმთავრეს ფავორიტად მიიჩნეოდნენ. ბალკანელებმა სტატუსი გაამართლეს და მეტოქე 81:67 დაამარცხეს.

მე-3 ადგილისთვის მატჩში ერთმანეთს ესტონეთი და ფინეთი შეხვდნენ. ბალტიისპირელებმა სკანდინავიელებს აჯობეს – 63:53 და ბრინჯაოს მედალთან ერთად ა დივიზიონის საგზურიც მოიპოვეს.

ფინალური მატჩის შემდგომ გაიმართა დაჯილდოების ცერემონიალი, სადაც პრიზიორ გუნდებს მედლები გადაეცათ. ამასთანავე, გამოვლინდა ჩემპიონატის სიმბოლური ხუთეული და საუკეთესო კალათბურთელი – მვპ.

ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანი ესტონეთი ფიბას კომისრებმა ანდრეას პაპადოპულოსმა და დანის კუნოსიჩმა დაჯილდოვეს.

მეორეადგილოსან ისლანდიას ვერცხლის მედლები საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის გამგეობის თავმჯდომარე პაატა გურასპაულმა და ფიბას კომისარმა ქრისტიან ალტმეიერმა გადასცეს.

გამარჯვებულ სერბეთს კი ოქროს მედლები – გიორგი ქართველიშვილმა და ანდრეას პაპადოპულოსმა.

გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა ჩემპიონატის სიმბოლური, საუკეთესო ხუთეული:

კასპერ სურორგი (ესტონეთი), ტორვალდურ არნასონი, ორტი გუმნარსონი (ორივე ისლანდია), ბო კლიტმანი (შვედეთი), მიჰაილო ბოშკოვიჩი (სერბეთი);

ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ სერბი მიჰაილო ბოსკოვიჩი დასახელდა, რომელსაც სპეციალური პრიზი საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანმა თორნიკე შენგელიამ გადასცა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

საზოგადოება

ლიტერატურული პრემია „საბას“ ფინალისტები ცნობილია

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ლეს „ტრაქისელი ქალები“, თორნიკე სიბაშვილი, „დეტექტივი“, დავით ჯიშკარიანი, „ბუცები და ტყავის ჩექმა“.

წლის საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკა: ზაზა აბზიანიძე, „ალექსანდრე ყაზბეგი“, ნუგეშა გაგნიძე, „ცხოვრება ორ სამყაროში – გრიგოლ რობაქიძე“, მაკა ლდოკონენი, „რა ვიკითხოთ ერთად“, დავით მაზიაშვილი, „შექსპირის პოსტმოდერნიზმი“.

წლის საუკეთესო პიესა: თამარ ბართაია, „ზოია. გესთ ჰაუს – ზოია. საოჯახო სასტუმრო“, მანანა დოიაშვილი, „მეცამეტე თვე“, ბასა ჯანიკაშვილი, „ნინოს ბედნიერება“.

წლის საუკეთესო ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა: ლანა ღოღობერიძე, „ვისთვის გალობს შაშვი“, რუსუდან გორგილაძე, „დიქტატურის გემო“, გაგა ნახუცრიშვილი, „კინო „ყაზბეგი“, მალხაზ ხარბედია, „წიგნის ნადიმები – ესეები ლიტერატურულ გასტრონომიაზე“, გიორგი ჭეიშვილი, „ტფილისის ღამის რაინდები (ძველი თბილისის კრიმინალური ქრონიკა)“.

წლის საუკეთესო პროზაული კრებული: ბესო სოლომანაშვილი, „სხვისი კინო“, რატი რატიანი (ნინო სურამელაშვილი), „მკვლელობა სადგურის უბანში“, დათია ბადალაშვილი, „ლეკვების სამოთხე“.

წლის საუკეთესო პოეტური კრებული: ლია სტურუა, „ვაგრძელებ თამაშს?!“, ლელა სამნიაშვილი, „ავირეკლოთ“, პაატა შამუგია, „არგადარჩენა“, ეთერ თათარაიძე, „ალალ იყვიდ, უშურო“, ნიკა ჯორჯანელი, „ნეტფლიქსი“, ბექა ახალაია, „მგელი მაჯაზე“.

წლის საუკეთესო რომანი: არჩილ ქიქოძე, „ხვლიკი საფლავის ქვაზე“, ირმა ტაველიძე, „ბნელ წყლებში“, გიორგი ხარაიშვილი, „ბნელია გზა – პირველყოფილი წყვდიადი“, ილია ჭანტურია, „გემი დავლანდე“.

ლიტერატურული პრემია „საბას“ ჟიური ფინალისტებისგან საუკეთესოებს შეარჩევს და ყველა ნომინაციაში გამარჯვებულებს საზეიმო ვითარებაში დააჯილდოებს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კალეიდოსკოპი

მომხმარებელმა რესტორანში დინოზავრის კვალი აღმოაჩინა

ჩინეთის სიჩუანის პროვინციის ლეშანის ოლქში რესტორანში მისულმა მამაკაცმა ეზოში 100 მილიონი წლის წინ დატოვებული დინოზავრის ნაკვალევი აღმოაჩინა.

დაწესებულების ეზოში რამდენიმე გაქვავებული ჩაღრმავება ორი ზავროპოდის, ადრეული ცარცული პერიოდის დინოზავრის ერთ-ერთი სახეობა, ნაკვალევს შეიცავდა. ნაკვალევის ნამდვილობა 3დ სკანირების დახმარებით პალეონტოლოგმა, ჩინეთის გეოლოგიურ მეცნიერებათა უნივერსიტეტის დოქტორმა ლიდა სინმა დაადასტურა.

სინმა აღნიშნა, რომ ქალაქში იშვიათად ნახულობენ გაქვავებულ ნაკვალევებს. აღსანიშნავია, რომ ამ ადგილზე რესტორნის გახსნამდე ფრინველების ფერმა იყო და დინოზავრების ნაკვალევი ტალახით იყო დაფარული. იქაურობა დაახლოებით ერთი წლის წინ გაწმინდეს, მის ახალ მფლობელს დაუმუშავებელი ქვების წყობა მოეწონა, ამიტომ ხელუხლებლად დატოვა და მხოლოდ ცემენტით მოასწორა. შედეგად ნაკვალევი გადარჩა.

რესტორნის მფლობელმა დინოზავრის ნაკვალევის აღმოჩენის შემდეგ ის ადგილი შემოღობა, რომ ხალხმა ზედ არ იაროს და მის უამინდობისგან დასაცავად გადახურვასაც აპირებს.

ზოოპარკში ახალმა ხვადმა ლომმა ძუ ლომი მოკლა

ამერიკის ალაბამის შტატის ქალაქ ბირმინგემის ზოოპარკში ახლად მიყვანილმა ხვადმა ლომმა ძუ ლომს მძიმე დაზიანებები მიაყენა და ერთად ყოფნის პირველივე წუთებში მოკლა.

ძუ ლომი, სახელად აკილი, 2005 წელს კოლორადოს შტატის ქალაქ კოლორადო-სპრინგსის ზოოპარკში გაჩნდა. 2007 წელს აკილი ბირმინგემის ზოოპარკში გადაიყვანეს, სადაც ის აფრიკულ ლომთან, სახელად კვანზასთან ერთად ბინადრობდა. 2011 წელს მათ გაუჩნდათ ბოკვერები. 2021 წელს კვანზა მოკვდა.

ზოოპარკის ხელმძღვანელობამ აკილისთვის ახალი ხვადი ლომი, სახელად ჯოში შეარჩია. როდესაც ლომების ერთმანეთისთვის გაცნობა გადაწყდა, ახალი ხვადი ლომი მაშინვე თავს დაესხა ძუს და მძიმე დაზიანებები მიაყენა. ამ თავდასხმის შედეგად აკილი დაიღუპა.

– ცხოველის დაღუპვა ყოველთვის სამწუხაროა, მაგრამ, როდესაც ეს ასე სწრაფად და მოულოდნელად ხდება, მისი გადატანა განსაკუთრებით რთულია, – განაცხადა ზოოპარკის პრეზიდენტმა კრის პფეფერკორნმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საქართველო მზადებას ნბა-ს კალათბურთელის გარეშე დაიწყებს

საქართველოს საკალათბურთო ნაკრები შეკრების გასავლელად სლოვენიის საკურორტო ქალაქ როგლაში არასრული შემადგენლობით გაემგზავრება. ეროვნული გუნდი კი ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპისა და 2023 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩებისთვის ემზადება.

ილიას ზუროსს 18-კაციანი შემადგენლობა ჰყავს, რომელთაგან ორი სლოვენიაში არ იქნება. ესენი არიან ნბა-ში მოთამაშე კალათბურთელები – გოგა ბითაძე და სანდრო მამუკელაშვილი. შედეგად, ბერძენმა მთავარმა მწვრთნელმა სლოვენიაში 16 კალათბურთელი იახლა.

ბითაძეს მუხლის ტრავმა აქვს და როგლას ნაცვლად ინდიანაში ჩავა, სადაც სამედიცინო გამოკვლევას კლუბში გაივლის. ინდიანაშივე გადაწყვეტენ, რა სახის მკურნალობა დაუნიშნონ. როგორც კი მწყობრში ჩადგება, გოგა საქართველოს ნაკრებს შეუერთდება. თუმცა, ამ ეტაპზე უცნობია, ეს როდის მოხდება ან დაეხმარება თუ არა ბითაძე ნაკრებს მოახლოებულ მატჩებში.

რაც შეეხება მამუკელაშვილს, ნბა-ს რეგულაციებით კალათბურთელს საკუთარი ქვეყნის ნაკრებში 28 დღე ეძლევა. თუმცა, ამ პერიოდში არ შედის თამაშისა და ფრენის დღეები. შესაბამისად, მამუკელაშვილს ჩვენს ნაკრებში ვარჯიშების დაწყების ნებართვა 4 აგვისტოდან აქვს.

სწორედ 4 აგვისტომდე დარჩება საქართველოს ნაკრები როგლაში, შემდეგ კი უნგრეთში გადაინაცვლებს, სადაც 5 და 6 აგვისტოს 2 სპარინგ მატჩს გამართავს. უნგრეთიდან დაბრუნების შემდეგ ნაკრები თბილისში ვარჯიშებს გააგრძელებს. საქართველოს დედაქალაქში ზუროსის გუნდი 11 და 13 აგვისტოს ისრაელის ნაკრებს ეთამაშება, ხოლო 15 აგვისტოს საბერძნეთისკენ აიღებს გეზს, სადაც ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი – „აკროპოლისის თასი“ გაიმართება. საბერძნეთთან და საქართველოსთან ერთად ათენში თავს თურქეთისა და პოლონეთის ნაკრებები მოიყრიან.

ამით ჩვენი ნაკრები ამხანაგური მატჩების სერიას დაასრულებს და 24 აგვისტოს მსოფლიოს ჩემპიონატის მე-2, დასკვნით საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისში ნიდერლანდებს უმასპინძლებს, ხოლო 27-ში ქალაქ ბრეშაში იტალიასთან ესტუმრება.

1 სექტემბერს კი უკვე ევროპის ჩემპიონატი იწყება. მოგეხსენებათ, კონტინენტის მთავარი საკალათბურთო ტურნირის ერთ-ერთი მასპინძელი საქართველოცაა. ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში ევრობასკეტის ა ჯგუფის მატჩები გაიმართება. თბილისში თავს ესპანეთის, თურქეთის, ჩერნოგორიის, ბულგარეთის, ბელგიისა და საქართველოს ნაკრებები მოიყრიან.

ევრობასკეტის სხვა ჯგუფები იტალიის ქალაქ მილანში, ჩეხეთის დედაქალაქ პრაღასა და გერმანულ კიოლნში გაიმართება. ფლეი ოფში გასული 16 გუნდი კი ჩემპიონ-პრიზიორთა გამოსავლენად ბერლინში შეიკრიბება.

ნაკრები სლოვენიის შეკრებაზე ამ შემადგენლობით გაემგზავრება: ლუკა მაზიაშვილი, რატი ანდრონიკაშვილი, კახაბერ ჯინჭარაძე, ბექა ბურჯანაძე, გიორგი ცინცაძე, გიორგი შერმადინი, დუდა სანაძე, გიორგი კორსანტია, ალექსანდრე ფევაძე, მიხეილ ბერიშვილი, მერაბ ბოქოლიშვილი, თორნიკე შენგელია, თად მაკფადენი, ბექა ბექაური, გივი ბაქრაძე, ილია ლონდარიძე.

ხვიჩა კვარაცხელია: „მინდა, რონალდუსნაირი კარიერა მქონდეს“

ხვიჩა კვარაცხელია იტალიაში აქტუალურობას იმატებს და ნაპოლის ფეხბურთელზე ახლა ყველაზე მეტს ლაპარაკობენ.

ცხადია, გამონაკლისი არც იქაური მედიაა და ერთ-ერთ ნეაპოლურ გაზეთში ჩვენებურთან ინტერვიუ გამოქვეყნდა.

– ნაპოლის შემადგენლობაში პირველად ითამაშებ ჩემპიონთა ლიგაში. რას ნიშნავს შენთვის?

– ეს ჩემი პირველი საფეხბურთო ოცნებაა. რაც ფეხბურთის თამაში დავიწყე, სულ ჩემპიონთა ლიგაში თამაშზე ვოცნებობ. თუმცა, ჩემპიონთა ლიგა ნეაპოლში კიდევ სხვა რამეს ნიშნავს, უფრო მაგარია და მოუთმენლად ველოდები ჩემპიონთა ლიგის მატჩებს.

– რომელ პოზიციაზე გრძნობ თავს ყველაზე კომფორტულად?

– ჩემი საყვარელი პოზიცია მარცხენა გარემარბია, მაგრამ, სადაც ნაპოლის დავჭირდები, იქ ვითამაშებ. ვცდილობ, ყველა შემტევ პოზიციას შევეგუო.

– სტანდარტულების შესრულება შეგიძლია?

– სტანდარტულებს სიამოვნებით ვასრულებ, მაგრამ ნაპოლიში სხვა ფეხბურთელებიც დავინახე, რომლებსაც კარგი დარტყმა აქვთ. მწვრთნელმა უნდა გადაწყვიტოს, ვინ შეასრულებს სტანდარტულებს. თუ მე ვიქნები, ძალიან გამიხარდება.

– სპალეტისთან როგორი ურთიერთობა გაქვს?

– რასაც ვუყურებ, დიდებული მასწავლებელია. ყოველდღე რაღაც ახალს მასწავლის. მიხარია იმის დანახვა, რომ ყველა ფეხბურთელი ბევრს სწავლობს მისგან. დიმაროში სპალეტი ცდილობდა, ჩვენამდე ახალი იდეები მოეტანა.

– იტალიურ ენას სწავლობ?

– სხვათა შორის, მითხრეს, რომ ჯერ ნეაპოლური უნდა ისწავლო, შემდეგ – იტალიური. თუმცა, არ მეშინია, რადგან გუნდში ძალიან კარგი მასწავლებლები მყავს. იტალიური კერძების მომზადებაც კი ვისწავლე, ხოლო ტომაზოს პიცა, მოცარელა და ყავა ჩემი საყვარელი სადილია.

– როგორია 21 წლის ასაკში სახლისგან ასე შორს ცხოვრება?

– ოჯახისგან შორს ცხოვრებას ადრიანად მივეჩვიე, რადგან 17 წლისა უკვე მოსკოვის ლოკომოტივში ვიყავი. ვიცი, რომ ეს ჩემი საქმის ნაწილია და ასე იქნება, სანამ ფეხბურთს ვთამაშობ.

– ყაზანის რუბინიდან ბათუმის დინამოში გადასვლაზე უკრაინის ომმა იმოქმედა?

– ყაზანში 2 წელი გავატარე და ბოლო დროს თავს შესანიშნავად ვგრძნობდი. თუმცა, მერე ომი დაიწყო და მივხვდი, რომ სახლში უნდა დავბრუნებულიყავი. ომის არ მეშინოდა, მაგრამ შემეძლო, უფრო უსაფრთხო ადგილას, ჩემს ქვეყანაში დავბრუნებულიყავი. საქართველოში ფეხბურთი ძალიან უყვართ.

– როგორ გრძნობ თავს ნაპოლიში?

– ძალიან კარგად, შესანიშნავი შეგრძნებაა. თანაგუნდელებმა თბილად მიმიღეს. ყველას ვუყვარვარ. ამ ცოტა ხანში მომცეს შეგრძნება, რომ სახლში ვარ. ისე მიმიღეს, როგორც ოჯახის წევრი. ეს არაჩვეულებრივია.

– სად იცხოვრებ ნეაპოლში?

– ჯერ არ გადამიწყვეტია, მაგრამ მით უმეტეს დასაწყისისთვის კარგი იქნება, რომ ბაზასთან ახლოს ვცხოვრობდე, რათა ვარჯიშზე და მუშაობაზე სრულად ვიყო კონცენტრირებული.

– რატომ ნაპოლი და არა სხვა ევროპული გრანდი?

– როგორც კი ნაპოლიმ წინადადება შემომთავაზა, არც მიფიქრია და მაშინვე დავთანხმდი.

– თანაგუნდელებს შენი გვარის წარმოთქმა უჭირთ?

– ვიცი, რომ ჩემი გვარის წარმოთქვა სხვებისთვის ძნელია, ვუთხარი, კვარა დამიძახონ. ეს პრობლემა არ იქნება.

– მაისურზეც კვარას დაიწერ?

– მირჩევნია, გვარი სრულად ეწეროს. ასე რომ, 77 ნომრის ზემოთ კვარაცხელიას წაიკითხავთ.

– საყვარელი ფეხბურთელი მართლაც კრიშტიანუ რონალდუა?

– რონალდუ დიდი ფეხბურთელი და საოცარი პროფესიონალია. ამიტომაც არის ჩემთვის საუკეთესო.

– ფაბიო კაპელომ განაცხადა, რომ მოჰამედ სალაჰს ჰგავხარ.

– იმედი მაქვს, რომ ამ დონეზე ავალ. ამისთვის ბევრი შრომა მჭირდება.

– გულშემატკივრები კი ამბობენ, რომ ქართველი მესი ხარ.

– დიახ, ასე ბევრი მეძახის, მაგრამ მაინც რონალდუსკენ ვიხრები. შრომითა და თავდადებით იმდენს მიაღწია, რომ მესის გვერდით დადგა. მინდა, მისნაირი კარიერა მქონდეს.

ოქსფორდელი პროფესორის გამოთვლით, რონალდუ საუკეთესოა

ოქსფორდის უნივერსიტეტის მათემატიკის პროფესორმა ტომ კროუფორდმა საფეხბურთო ინდექსი შეიმუშავა, რის შედეგადაც ყველა დროის უდიადესი ფეხბურთელი გამოთვალა.

100%-იანი შეფასება მიიღო მანჩესტერ იუნაიტედის ფორვარდმა კრიშტიანუ რონალდუმ. საუკეთესო ხუთეულში თანმიმდევრობით მოხვდნენ ლიონელ მესი, პელე, ფერენც პუშკაში და რონალდო.

საუკეთესო 7 კრიტერიუმით გამოვლინდა: რეკორდები და ტიტულები; სტატისტიკა სანაკრებო დონეზე და საერთაშორისო ტიტულები; „ოქროს ბურთები“; ინდივიდუალური პრიზები; „იქს ფაქტორის“ სეზონები;

რონალდუმ კარიერაში ყველა ტურნირზე 1.122 მატჩი ჩაატარა და 815 გოლი გაიტანა; მესიმ – 974 მატჩი, 769 გოლი;

საკლუბო ტიტულებით პირველ ადგილზეა მესი, მაგრამ რონალდოს ერთით მეტი მოგება აქვს ჩემპიონთა ლიგაზე და ეროვნული ჩემპიონატების ტიტულები 3 ქვეყანაში.

საერთაშორისო დონეზე პორტუგალიელი ფორვარდი შარშან ეროვნული ნაკრებების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ლიონელსაც და კრიშტიანოსაც მოგებული აქვთ ჩემპიონატები საკუთარ კონტინენტებზე: პორტუგალიელმა გაიმარჯვა ევრო 2016-ზე, ხოლო არგენტინელმა – 2021 წლის კოპა ამერიკაზე;

მესის 7 „ოქროს ბურთი“ აქვს, რონალდოს – 5. ორივეს მაღალი მაჩვენებლები აქვს „იქს ფაქტორში“.

პროფესორ ტომ კროუფორდის ჯამური რეიტინგის მიხედვით, ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი რონალდუ გამოვიდა.

საუკეთესო ათეული: კრიშტიანო რონალდო (პორტუგალია, 100%); ლეო მესი (არგენტინა, 94%); პელე (ბრაზილია, 85%); ფერენც პუშკაში (უნგრეთი, 57%); რონალდო (ბრაზილია, 52%); მარკო ვან ბასტენი (ნიდერლანდები, 44%) ალფრედო დი სტეფანო (არგენტინა, 37%); მიშელ პლატინი (საფრანგეთი, 33%); დიეგო მარადონა (არგენტინა, 31%); იოჰან კრუიფი (ნიდერლანდები, 30%).

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

შედეგები

24 ივლისი

ფეხბურთი

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

არმინია-რეგენსბურგი	0:3
ჰამბურგი-ჰანზა	0:1
კარლსრუე-მაგდებურგი	2:3

ბელგია. ა დივიზიონი

ბრიუგე-გენკი	3:2
მეხელენი-ანტვერპენი	0:2
ანდერლეხტი-ოსტენდე	2:0
ვესტერლო-სერკლი	2:0

ავსტრია. ბუნდესლიგა

ლუშტენაუ-ტიროლი	2:1
რაპიდი-რიდი	1:0
ჰარტბერგი-ალტახი	2:1

შვეიცარია. სუპერლიგა

ბაზელი-სერვეტი	1:1
გრასჰოპერსი-ლუგანო	2:1
სიონი-იანგ ბოიზი	0:3

პორტუგალია. ექტრაჟანრა

სლასკი-პოგონი	2:1

დანია. სუპერლიგა

ორხუსი-ვიბორგი	3:1
რანდერსი-ოდენსე	2:2
ბრონდბიუ-ნორდსიელანდი	1:3
ოლბორგი-კოპენჰაგენი	1:3

შვედეთი. ალსვენსკა

ვერნამო-აიკი	2:3
ჰელსინბორგი-სუნსვალდი	1:0
კალმარი-ელფსბორგი	1:0
ჰაკენი-დიურგარდენი	1:2

ნორვეგია. ელიტსერია

ვალერენგა-ვიკინგი	4:2
კრისტიანსუნდი-ოდი	2:2
სანდერფიორდი-მიოლდე	2:3
ჰაუგესუნი-სარპსბორგი	3:1
სტომგოდსეტი-ჰამკამი	1:1

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ღაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ფასიანი ქაღალდების კურსის დაწევა ბირჟაზე; 2. შვეიცარიელი მხატვარი; 3. საერთაშორისო ხელშეკრულების შესავალი ნაწილი; 4. მშენებლობაში გამოყენებული ცემენტისა და ქვიშის წყალში გახსნილი მასალა; 5. ამერიკელი მოჭადრაკე მამაკაცი, მსოფლიო ჩემპიონი; 10. უწესრიგობა, არეულობა, ქაოსი; 9. თანავარსკვლავედის ძველი ქართული სახელწოდება; 14. ქართველი შტანგისტი, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი; 15. ავარიის შედეგად გემისთვის მიყენებული ზარალის შემფასებელი ოფიციალური ექსპერტი; 16. პროგრამირების ერთ-ერთი ენა გამოთვლით ტექნიკაში; 19. ლომის ან ვეფხვის ნაშიერი; 20. აკაკი წერეთლის ლექსზე შექმნილი პოპულარული სიმღერა; 21. ფილტვებისა და გულმკერდის ღრუს კედლების დამფარავი აპკი.

თარაზულად: 6. სითხის გამოსახდელი აპარატი; 7. პირველი ქართველი მფრინავი; 8. ფრანგული პური; 11. ბავშვთა გასართობი ცენტრი მთაწმინდის პარკში; 12. სახელმწიფო აზიაში; 13. ჩაის მწარმოებელი ქართული ფირმა; 17. ერთგვარი თამაში-გამოცანა; 18. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 22. ეკიპაჟის საცხოვრებელი სათავსო გემზე; 23. ჭაობში მზარდი ისლისებრი მცენარე; 24. ჩხუბის, აყალმაყალის ამტეხი ადამიანი; 25. ებრაული სამლოცველო.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. მახა; 2. რადიო; 3. გვარლი; 5. გოეთე; 6. ნორვეგია; 8. კონსილიუმი; 10. სტიმული; 12. პარკერი; 14. აპნისი; 15. გალიფე; 16. ბეუეი.

თარაზულად: 1. მუჯირი; 4. აგარანი; 7. მადერა; 9. ლაზები; 11. კნესეტი; 12. პანდემია; 13. ამქარი; 17. კაპელა; 18. გურუ; 19. ბრუქსიზმი; 20. ცილინდრი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ჟენშენი; 2. ლიბრეტო; 3. კრაისლერი; 4. ალმასი; 5. ოსტინი; 9. წუნდა; 10. ამტყელი; 14. ჰერბარიუმი; 15. შერმადინი; 16. პლეადა; 19. კეტჩუპი; 20. ჟენევა; 21. ნადური.

თარაზულად: 6. რესპირატორი; 7. ბიბლისი; 8. უშქარი; 11. პუნსონი; 12. ატომი; 13. მეოტიდა; 17. სეგიდელია; 18. ფილისტერი; 22. დეკორტი; 23. დრამერი; 24. სპონსორი; 25. რიქსდაგი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

26 ივლისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.7917

ევრო — 2.8534

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.3606

100 რუსული რუბლი — 4.7726

ამინდის პროგნოზი 26 ივლისისათვის

ტიბო კურტუა: „ამხანაგურ მატჩში წაგება არაფერს ნიშნავს“

მადრიდის რეალის მეკარე ტიბო კურტუამ ბარსელონასთან მარცხზე ისაუბრა და თქვა, რომ ეს მხოლოდ ამხანაგური შეხვედრა იყო, რომლის შედეგიც ნაკლებად მნიშვნელოვანია, თუმცა წაგება კარგი არასოდეს არის:

– ბარსელონამ უკეთესად ითამაშა და მათ გამარჯვება დაიმსახურეს, თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს მხოლოდ ამხანაგური თამაში იყო, ამიტომ ჩვენ არაფერი დაგვიკარგავს. მომავალში დაშვებული შეცდომები არ უნდა გავიმეოროთ.

ლევანდოვსკი: „ბარსელონაში ძალიან კარგი ატმოსფეროა“



ბარსელონის პოლონელმა ახალწვეულმა რობერტ ლევანდოვსკიმ განაცხადა, რომ გუნდში ძალიან კარგი ატმოსფეროა და ის უკვე დაუმეგობრდა თავის რამდენიმე თანაგუნდელს, თუმცა ჯერ კიდევ გაცნობის პროცესია:

– ბარსელონაში ძალიან მეგობრული ატმოსფეროა და აქ ყოფნა უკვე მსიამოვნებს. ვარჯიშებზე ბოლომდე ვიხარჯები და ვცდილობ, ოპტიმალურ ფორმაში ჩავდგე.

კლოპი: „ლივერპული კარგ ფორმაშია“

ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა თავისი გუნდის მომზადებაზე ისაუბრა და თქვა, რომ ლივერპული კარგ ფორმაშია და ისინი სეზონის დაწყებისთვის მზად არიან:

– მინდა, გულშემატკივარი გავახარო და მათ ვუთხრა, რომ სეზონს მშვენიერ ფორმაში ვხვდებით და ისინი ამაში დარწმუნდებიან, როდესაც პრემიერლიგა დაიწყება, მანამდე კი მუშაობას გავაგრძელებთ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ქურდი მოხუც ქალად გამოეწყო, ბანკი გაძარცვა და მიიმალა

აშშ-ში ქურდი მოხუცებულ ქალად გარდაისახა, ბანკი გაძარცვა და შემთხვევის ადგილიდან ისე მიიმალა, რომ მტკიცებულებები არ დაუტოვებია.

აღნიშნული ინციდენტი ჯორჯიის ქალაქ მაკდონოში ორშაბათს, 18 ივლისს მოხდა. თვითმხილველთა თქმით, ბანკის განყოფილებაში ყვავილებიან კაბაში გამოწყობილი მამაკაცი შევიდა, რომელსაც ხელებზე ლატექსის ყვითელი ხელთათმანები, სახეზე შავი ნიღაბი, ხოლო თავზე ჭაღარათმიანი პარიკი ეკეთა. უცნობი მომსახურების ერთ-ერთ ფანჯარასთან მივიდა და მოლარეს გადასცა წერილი, რომელშიც ფულს მოითხოვდა და აცხადებდა, რომ პისტოლეტით იყო შეიარაღებული.

ბანკის თანამშრომელმა უცნაური მძარცველის მოთხოვნა დააკმაყოფილა. ამის შემდეგ ქალად გადაცმულმა მამაკაცმა ბანკის შენობა მშვიდად დატოვა. თვითმხილველებმა მძარცველი აღწერეს, როგორც კარგი აღნაგობის, დაახლოებით 180 სანტიმეტრი სიმაღლის პიროვნება, ქუჩაში გასული მამაკაცი თეთრი ფერის ყველგანმავალში ჩაჯდა და წავიდა. აღსანიშნავია, რომ ავტომობილი შესაძლოა ლექსუსის მარკის ერთ-ერთი ბოლო მოდელი იყო.

პოლიციამ სათვალთვალო ვიდეოკამერების ჩანაწერები შეისწავლა, თუმცა მძარცველის პიროვნების დადგენა, ან მისი მანქანის ნომრის დანახვა ვერ შეძლო. ასევე არ ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა თანხის წაღება შეძლო უცნაურმა მძარცველმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი



26 ივლისისათვის

ვერძი – რთული დღეა. მოთმინება გმართებთ. საბოლოოდ მიზანს მაინც მიაღწევთ. ** კურო** – საკუთარ პრინციპებს არ უღალატოთ. გამოიჩინეთ ინიციატივა და სიმტკიცე. **მუჯეები** – ყველასთან გულახდილი ნუ იქნებით. კეთილისმყოფელი დღეა მივლინებებისათვის, სამოგზაუროდ. **ქირჩხიბი** – საქმიანი პარტნიორებისაგან ხელსაყრელ შემოთავაზებას ელოდეთ. იყავით მადლიერი. **ლომი** – ყველაზე ჩახლართული სიტუაციებიდანაც კი გამოსავალს იპოვით. ენერგიულად ხართ. **ქალწული** – დღეს ძალზე მნიშვნელოვანია ოჯახში ემოციური ატმოსფერო, რაც პირად ცხოვრებაში წარმატებას განაპირობებს. **სასწორი** – მოვლენები თქვენი გეგმის მიხედვით არ განვითარდება. გამოიჩინეთ კეთილგონიერება და მოთმინება. **ღრიანკალი** – ინტუიცია საკმაოდ გაგიმახვილდებათ. ნუ აჩქარდებით. საქმე დინჯად აკეთეთ. **მშვილდოსანი** – პოზიტიური დღეა. ჩანაფიქრის რეალიზაციას ბრწყინვალედ ახერხებთ. **თხის რქა** – დეპრესია გიტევთ. უსაქმოდ ნუ გაჩერდებით. ცდუნებას არ აჰყვეთ. **მერწყული** – მოულოდნელად მიღებული ინფორმაციის გამო გეგმები გეცვლებათ. ნუ იქნებით სუბიექტური. **თევზები** – დაეხმარეთ მეგობრებს, ახლობლებს, თუმცა საკუთარ საქმესაც ნუ დაივიწყებთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

●●●

რუსული სამზარეულოს სომხური რესტორანი: „პატარა იტალია“.

●●●

ქმარი ცოლს ტელეფონზე ელაპარაკება და ეკითხება:

– ძვირფასო, შენ, რა, ჯადოქარი ხარ?

– და მასე რატომ ფიქრობ?

– რატომ და სმს-ი მომივიდა, ჩემ საკრედიტო ბარათზე ფულის ჩარიცხვაზე და ხუთ წამში დამირეკე...

●●●

განცხადება გაცნობის გვერდზე:

„მინდა გავიცნო გოგონა, რომელსაც მატერიალური საკითხები არ აინტერესებს. არა რაიმე ქვენა გრძნობის გამო, არამედ იმიტომ, რომ უბრალოდ აქამდე ასეთ გოგონას არ შევხვედრივარ.“

●●●

გამომძიებელი ეჭვმიტანილს ეკითხება:

– გადასახადებს რატომ არ იხდით?

– ეკონომიურად წამგებიანია და იმიტომ.

●●●

ქალი ციხის უფროს ეკითხება:

– უკაცრავად, შეიძლება პატიმარი ფარულავა მოვინახულო?

– სამწუხაროდ, გუშინ განთავისუფლდა, მაგრამ მაგაზე არ ინერვიულოთ, ერთი თვის შემდეგ შემოგვიარეთ...

●●●

ერთი დიდი ხნის უნახავი ნათესავი მეორეს ეკითხება:

– გამარჯობა, როგორ ხარ? სად მუშაობ?

– არ ვმუშაობ!

– და რას აკეთებ?

– არაფერს!

– ეგეც კარგია!

– ჰო, მხოლოდ ეგაა, დიდი კონკურენციაა!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ერეკლე საღლიანს საზოგადოების დახმარება სჭირდება

პოეტ ერეკლე საღლიანს საზოგადოების დახმარება სჭირდება. მას ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს და სამკურნალოდ თურქეთში გაემგზავრა.

ინფორმაცია პოეტმა მიშო დადიანმა გაავრცელა:

– ერეკლე საღლიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა ძალიან მძიმეა. დაუდგინდა „ტრემორი“ – მძიმე ფორმა. უნდა გადარჩეს ეს ერისკაცი!

დღემდე ქირით ცხოვრობს ეს სახალხო პოეტი. აი, ასე ვცხოვრობთ პოეტები საქართველოში. ზოგიერთი ბინძურ ხელებს გვაწმენდს – „თურმე ჩვენ რა გვიჭირს“ და ა.შ. ვაიმე! თუმცა ახლა მხოლოდ ამ საქართველოს სიამაყის გადარჩენა მინდა.

სირცხვილი იმ ქვეყანას, ვისაც ჰყავს ერისკაცები უსახლკაროდ!

ერეკლე საღლიანს სასწრაფოდ ესაჭიროება გადაუდებელი ოპერაცია თურქეთში, რაც საკმაოდ დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. საჭიროა 25.000 დოლარი.

თქვენი ერთი ლარიც კი უმნიშვნელოვანესია. სიკეთე არ იკარგება, ათიათასმაგად დაგიბრუნდებათ.

ერეკლე საღლიანის დასახმარებლად თიბისისა და საქართველოს ბანკებში მის სახელზე ანგარიშის ნომრებია გახსნილი.

ნანი ბრეგვაძე 86 წლის გახდა

ქართული ესტრადის დედოფლად წოდებული მომღერალი ნანი ბრეგვაძე 86 წლის გახდა. შეუდარებელ ხელოვანს დაბადების დღე, ოჯახის წევრების გარდა, მისმა მეგობრებმა, კოლეგებმა და რიგითმა გულშემატკივრებმა გულითადად მიულოცეს.

იუბილარი ზურა შევარდნაძეს „გარდენიაში“ ესტუმრა:

– უყურებ, უსმენ და ფიქრობ, როგორ იცხოვრა 86 წელი ისე, რომ ერთი ადამიანიც არ არსებობს მასზე გადაბრუნებული სიტყვის მთქმელი, ყველას უყვარს, ყველა აღტაცებული და აღფრთოვანებულია მისით.

სადაც ნანია, იქ ყველაფერი ელავს, ბრჭყვინავს და შენც უკეთესი გგონია თავი.

ბრძანა: „სიხარულით მიიღეთ კომპლიმენტები, შექება, გაგიხარდეთ კიდეც, მაგრამ არასდროს დაიჯეროთ, რომ რასაც გეუბნებიან, მართალია. გააგრძელე შრომა, იმაზე მეტი მოსთხოვე შენს თავს, ვიდრე შეგიძლია, შეგაქებენ, გაუღიმე, მადლობა არ დაიშურო, დახარე თავი და იმუშავე, იმუშავე, იმუშავე“.

დღეგრძელი იყავით, ბედნიერებაა თქვენ სიახლოვეს ყოფნა, თქვენი მოსმენა, ცქერა, მასპინძლობა.

სარაევოს კინოფესტივალზე 2 ქართული ფილმი იქნება წარმოდგენილი

სარაევოს რიგით 28-ე საერთაშორისო კინოფესტივალზე ორი ქართული ფილმი იქნება წარმოდგენილი.

დოკუმენტური ფილმების საკონკურსო პროგრამაში მონაწილეობს ალექსანდრე ქორიძის ფილმი „ატონალური გაბრწყინება“.

სინელინკის პროდიუსერების ლაბორატორიაში კი თეკლა მაჭავარიანი მიიღებს მონაწილეობას. სინელინკის პროდიუსერების ლაბორატორია 12-15 აგვისტოს ინდუსტრიის დღეების ფარგლებში გაიმართება.

სინელინკის პროდიუსერების ლაბორატორია ახალგაზრდა პროდიუსერებს აძლევს უნარჩვევების განვითარების შესაძლებლობას დარგის ექსპერტებისა და წარმატებული რეჟისორების დახმარებით. პროგრამა მიზნად ისახავს ბაზრის ცვლილებების გაგებასა და, ამავდროულად, მომავალი პროდიუსერებისთვის საკუთარი პროდიუსერთა ქსელის შექმნას.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ლიტერატურული პრემია „საბას“ ფინალისტები ცნობილია

ლიტერატურულმა პრემია „საბამ“ ფინალისტების სია საზოგადოებას წარუდგინა.

წელს „საბასთვის“ საიუბილეო თარიღია – კონკურსი მეოცედ გამოცხადდა. ჟიურიმ 227 წიგნი უკვე განიხილა და 7 ნომინაციაში ფინალისტების სია დაასახელა. „უცხოური ნაწარმოების საუკეთესო ქართული თარგმანის“ ნომინაციის ფინალისტები აგვისტოში გამოცხადდება, ხოლო ნომინაციაში „ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის“ გამარჯვებული, ტრადიციულად, უშუალოდ დაჯილდოების ცერემონიაზე გახდება ცნობილი.

2022 წელს საუკეთესო წიგნებს ჟიური 9 ნომინაციაში გამოავლენს: საუკეთესო რომანი, საუკეთესო პოეტური კრებული, საუკეთესო პროზაული კრებული, საუკეთესო პიესა, საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკა, საუკეთესო ლიტერატურული დებიუტი, საუკეთესო ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა, უცხოური ნაწარმოების საუკეთესო ქართული თარგმანი, ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილი.

მეოცე წელია, რაც კონკურსი აფასებს ქართულ ლიტერატურას და აჯილდოებს გამარჯვებულ წიგნებსა და ავტორებს, რომლის დამფუძნებელიც თიბისი და პოეტი რატი ამაღლობელია. დაარსების დღიდან „საბამ“ არაერთი მწერლის ნაწარმოები და ღვაწლი შეაფასა – 4500-ზე მეტი წიგნი განიხილა, 200-მდე პრემია გასცა და 150-ზე მეტი ავტორი დაჯილდოვა. მათგან არაერთი ავტორი დაჯილდოვდა მინიმუმ 2-ჯერ და მეტჯერ.

ლიტერატურული პრემია „საბას“ 2022 წლის ფინალისტები არიან:

თემო რეხვიაშვილი, „კურიერის ამბები“, კოკა ქამუშაძე, „ბალა(ნ)და“, მაგდა კალანდაძე, „მეორე ოთახი“, მინდია არაბული, „ყოველი ამბის დასასრული“, მარიამ გურგენიშვილი, „მარგალიტები“, ლელა კურტანიძე, „მელატონინი“, გიორგი კახიშვილი, სოფოკ-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ჯოსვოიდი ↄ



შვეულად: 1. ბრიტანული ლუდხანა; 2. იუმორისტული ნახატი; 3. მხარე ავსტრიაში; 5. მომღერალი პოეტი მუსლიმურ ქვეყნებში; 6. კინოცენტრი ინდოეთში; 8. საკუთარი სახელების შემსწავლელი ენათმეცნიერების ნაწილი; 10. ნახტომი ბალეტში; 12. ღონისძიებათა სისტემა გაკოტრების პირას მყოფი კომპანიების, ბანკების გადასარჩენად; 14. ქართველ ქალთა ძველებური თავსაბურველი; 15. ქვევრის ღვინოში არსებული მრთიმლავი ნივთიერება; 16. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა.

თარაზულად: 1. სამეგრელოში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 4. თეატრალური წარმოდგენის ძველი ქართული სახელწოდება; 7. დიდი სამგზავრო-სატრანსპორტო გემი; 9. აპრილის თვის ქართული სახელწოდება; 11. სურნელოვანი პარფიუმერიული სითხე; 12. გემის, თვითმფრინავის ოფიციანტი; 13. უნგრეთის პრემიერ-მინისტრი; 17. ესპანური ავიაკომპანია; 18. ერთგულების მტკიცე პირობა; 19. პროფესიონალი შანტაჟისტი, ცილისმწამებელი ძველ საბერძნეთში; 20. აეროპორტი მადრიდში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა